დანართი №.5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

წევრები:

- მარიამი გარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ლაურა ჯიმშელეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228540326

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის , სოფელი სამთაწყარო
ფაქტობრივი მისამართი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის , სოფელი სამთაწყარო მე4 ქუჩა N37
საფოსტო ინდექსი	1600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge ; facebook.com

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	samtatskaro@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577316525; 577967459

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	20/05/2025 MES 6 25 0000549330
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 26 და 27 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი ზოგადი განათლების პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო, სამთაწყაროს საჯარო სკოლა , მე-4 ქუჩა N 37 (1 შენობა)

	საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო, სამთაწყაროს საჯარო სკოლა , მე-4 ქუჩა N 37 (1 შენობა)
	საშუალო ზოგადი განათლების პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო, სამთაწყაროს საჯარო სკოლა , მე-4 ქუჩა N 37 (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 26 და 27 ივნისს, *სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში* შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება განხორციელდა. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი (ადგილზე ვიზიტი) და საგნობრივი ექსპერტები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლის მასწავლებლებს. დაწყებითი საგნების საგნობრივმა ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებთან გასაუბრებაში და დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასებაში. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	■ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 165	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
*ინდიკატორი N*1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან	<u>სკოლამ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში</u> 10/02/2025 <u>-მდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის</u>

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	№785 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, **სკოლის განვითარების სტრატეგია** წარუდგინოს **სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი **N3.1.2.3**	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში 12/29/2025-მდე** უზრუნველყოს კვალიფიციური/სერტიფიცირებული პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და სპეციალური მასწავლებლის დასაქმება.
ინდიკატორი **N3.1.2.4**	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში 12/29/2025-მდე,** უზრუნველყოს პერსონალის დასაქმება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის	**სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.04.2026)** უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

	უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	**<u>სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2025)</u>** სკოლაში დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი **N2.2.2.4**	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	**<u>სკოლამ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში 29.12.2025-მდე,</u>** უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სასურველია სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	<u>სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მექანიზმი ექიმის/შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებამდე როგორ იმოქმედებს თუ სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრს, სკოლის ტერიტორიაზე დასჭირდება პირველადი სამედიცინო დახმარება.</u>
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** <u>*(დაწყებითი საფეხური)*</u>	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> სამივე საფეხურზე კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს და სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები. <u>**მათემატიკა:**</u> მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური,

		შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. **<u>სპორტი:</u>** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი. **<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნული დოკუმენტებთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე, როგორც დაწყებით საფრხურზე, ასევე საბაზო-საშუალოზე.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება დროში რაციონალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>**

		სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქნას ახალი საგნობრივი კურიკულუმი ყველა კლასისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა სტრუქტურული ერთეული და რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექს მაგალითები და დავალებები გავწეროთ შესაბამის სვეტებში; სიტყვა გამეორებ ან ჩავანაცვლოთ, ან დავაკონკრეტოთ რომელი თემის/საკითხის განმეორება მოიცავს; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებშ შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური (მათემატიკა):** სასურველია III კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები გაიწეროს შესაბამის სვეტებში.

N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> სამივე საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ინტეგრაცია ძირითად სასწავლო რესურსებთან, ეროვნული სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას. <u>**მათემატიკა:**</u> სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები. <u>**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**</u> სასურველია სახელმძღვანელოს მითითებისას მითითებული იყოს გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ელ.ბმულები.

N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს სამივე საფეხურზე ჩანდეს საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის და/ან დროის დიფერენცირება. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**<u>უცხოური ენები:</u>** მიზანშეწონილია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს მუშაობა შეფასების რუბრიკების დახვეწაზე - შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს დავალების ტიპსა და საფეხურის სპეციფიკას; ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას, როგორც მოსწავლეთა პროგრესის წახალისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე და ორივე საგანში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული კონკრეტული შეფასების როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც ნათლად იქნება გამოტანილი ის შუალედური სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და ცნებები რომელიც კონკრეტული თემის შეფასებაში დაეხმარებათ

		მათემატიკა: სასურველია მასწავლებლები შეფასებისას მეტად ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით; შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მოსწავლისთვის მამოტივირებელი, ახალისებდეს მის პროგრესს და არ გაიწეროს ქულებში. სასურველია თუ კათედრა ერთობლივად შეიმუშავებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგიას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი რუბრიკა(მათ.IIIკლ; ქართ. III კლ.) გაწერილია ქულებით, რაც უნდა შეიცვალოს.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია. **უცხოური ენები:**

		სასურველია სამივე საფეხურზე გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება; ასევე, მიზანშეწონილია შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა ისე, რომ მათი განხორციელება დროში რეალისტურად იყოს განსაზღვრული. **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნას ყველა ის კრიტერიუმი რომელიც მიზნად ისახავს ეს გემის მიზნებს და ჩაისვას კლასების მიხედვით იმ რაოდენობის შემოქმედებითი პროდუქტი, რამდენის რეალურ განხორციელებას შეძლებს მასწავლებელი.* **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. **<u>ტექნოლოგიები:</u>** სასურველია კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური ტიპის დავალება, რომლებიც სრულიად იქნება შესაბამისი სამიზნე ცნებებთან. **<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>** სასურველია ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური /შემოქმედებითი

		ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.
2.2.1.2.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> სამივე საფეხურზე სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია, სამივე საფეხურზე შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. <u>**მათემატიკა:**</u> სასურველია კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთ შეფასება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის. <u>**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**</u> სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. შესაბამისად უფრო მკაფიოდ გაიწეროს შეფასება დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან

		შესაბამისობაში. მოსწავლეთა ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, რუბრიკების გაცნობა მშობლებისთვის, ურთიერთშეფასება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირველობას და ობიექტურობას.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	<u>უცხოური ენები:</u> სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u> სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი რესურსის შეცვლის შემთხვევაში სასურველია კათედრის ოქმში იყოს ასახული აღნიშნული ცვლილების მიზეზი.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u> სასურველია, რომ მომავალში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული სამივე საფეხურზე ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რაც გაადვილებს შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობის გაზომვას. <u>უცხოური ენები:</u> სასურველია, სამივე საფეხურზე გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება ციფრული და ვიზუალური

		მასალებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს და სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა საბაზო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები. **<u>მათემატიკა:</u>** მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია

		ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. **<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნული დოკუმენტებთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე, როგორც დაწყებით საფრხურზე, ასევე საბაზო-საშუალოზე.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება დროში რაციონალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქნას ახალი საგნობრივი კურიკულუმი ყველა კლასისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა სტრუქტურული ერთეული და რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას. **<u>მათემატიკა:</u>**

		სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექს მაგალითები და დავალებები გავწეროთ შესაბამის სვეტებში; სიტყვა გამეორებ ან ჩავანაცვლოთ, ან დავაკონკრეტოთ რომელი თემის/საკითხის განმეორებ მოიცავს; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებშ შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა.
N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> სამივე საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ინტეგრაცია ძირითად სასწავლო რესურსებთან, ეროვნული სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას. <u>**მათემატიკა:**</u>

		სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს სამივე საფეხურზე ჩანდეს საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის და/ან დროის დიფერენცირება. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> საბაზო/საშუალო საფეხურზე დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს.

		უცხოური ენები: მიზანშეწონილია საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს მუშაობა შეფასების რუბრიკების დახვეწაზე - შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს დავალების ტიპსა და საფეხურის სპეციფიკას; ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას, როგორც მოსწავლეთა პროგრესის წახალისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სამივე საფეხურზე და ორივე საგანში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული კონკრეტული შეფასების როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც ნათლად იქნება გამოტანილი ის შუალედური სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და ცნებები რომელიც კონკრეტული თემის შეფასებაში დაეხმარებათ **მათემატიკა:** სასურველია მასწავლებლები შეფასებისას მეტად ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით; შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მოსწავლისთვის მამოტივირებელი, ახალისებდეს მის პროგრესს და არ გაიწეროს ქულებში. სასურველია თუ კათედრა

		ერთობლივად შეიმუშავებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგიას.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> საბაზო/საშუალო საფეხურზე „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები და დაიგეგმოს დროში მიღწევადი შუალედური მიზნები. <u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**</u> კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია. <u>**უცხოური ენები:**</u> სასურველია სამივე საფეხურზე გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება; ასევე, მიზანშეწონილია შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა ისე, რომ მათი განხორციელება დროში რეალისტურად იყოს განსაზღვრული. <u>**ესთეტიკური აღზრდა:**</u> *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნას ყველა ის კრიტერიუმი რომელიც მიზნად ისახავს ეს გემის მიზნებს და ჩაისვას კლასების მიხედვით იმ*

		რაოდენობის შემოქმედებითი პროდუქტი, რამდენის რეალურ განხორციელებას შეძლებს მასწავლებელი. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.
2.2.1.2.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია, სამივე საფეხურზე შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთ შეფასება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია

		შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** საბაზო საფეხურზე სასურველია ჩანდეს, როგორ ინტეგრირდება რესურსები სწავლა-სწავლების პროცესში. შეივსოს ლაბორატორია საჭირო აღჭურვილობით, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი რესურსის შეცვლის შემთხვევაში სასურველია კათედრის ოქმში იყოს ასახული აღნიშნული ცვლილების მიზეზი.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სასურველია, რომ მომავალში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული სამივე საფეხურზე ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რაც გაადვილებს შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობის გაზომვას.

		უცხოური ენები: სასურველია, სამივე საფეხურზე გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება ციფრული და ვიზუალური მასალებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სამივე საფეხურზე კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს და სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის. **უცხოური ენები:** სასურველია გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები. **მათემატიკა:** მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური,

		შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. **<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნული დოკუმენტებთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე, როგორც დაწყებით საფრხურზე, ასევე საბაზო-საშუალოზე.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება დროში რაციონალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექს მაგალითები და დავალებები გავწეროთ შესაბამის სვეტებში; სიტყვა გამეორებ ან ჩავანაცვლოთ, ან დავაკონკრეტოთ რომელი თემის/საკითხის განმეორება

		მოიცავს; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებშ შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა.
N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ინტეგრაცია ძირითად სასწავლო რესურსებთან, ეროვნული სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>**

		სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს სამივე საფეხურზე ჩანდეს საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის და/ან დროის დიფერენცირება. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** საშუალო საფეხურზე დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. **<u>უცხოური ენები:</u>** მიზანშეწონილია საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს მუშაობა შეფასების რუბრიკების დახვეწაზე - შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს დავალების ტიპსა და საფეხურის სპეციფიკას; ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას, როგორც მოსწავლეთა პროგრესის წახალისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე და ორივე საგანში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული კონკრეტული შეფასების როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც ნათლად იქნება

		გამოტანილი ის შუალედური სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და ცნებები რომელიც კონკრეტული თემის შეფასებაში დაეხმარებათ **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია მასწავლებლები შეფასებისას მეტად ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით; შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მოსწავლისთვის მამოტივირებელი, ახალისებდეს მის პროგრესს და არ გაიწეროს ქულებში. სასურველია თუ კათედრა ერთობლივად შეიმუშავებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგიას.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** საშუალო საფეხურზე „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები და დაიგეგმოს დროში მიღწევადი შუალედური მიზნები. **<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>** კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია სამივე საფეხურზე გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური

		გამოყენება; ასევე, მიზანშეწონილია შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა ისე, რომ მათი განხორციელება დროში რეალისტურად იყოს განსაზღვრული. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.
2.2.1.2.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია, სამივე საფეხურზე შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **<u>მათემატიკა:</u>** სასურველია კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთ შეფასება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია

		შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** საშუალო საფეხურზე სასურველია ჩანდეს, როგორ ინტეგრირდება რესურსები სწავლა-სწავლების პროცესში. შეივსოს ლაბორატორია საჭირო აღჭურვილობით, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა. **<u>უცხოური ენები:</u>** სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი რესურსის შეცვლის შემთხვევაში სასურველია კათედრის ოქმში იყოს ასახული აღნიშნული ცვლილების მიზეზი.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** სასურველია, რომ მომავალში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული სამივე საფეხურზე ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რაც გაადვილებს შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობის გაზომვას.

		<u>უცხოური ენები:</u> სასურველია, სამივე საფეხურზე გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება ციფრული და ვიზუალური მასალებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასკვნის პროექტის პასუხი, შესაბამისობის გეგმით გაწერილი და დანართების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები. გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად დასკვნის პროექტში დახარვეზებული 1.2 ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შერსაბამისი. ხოლო დახარვეზებული ინდიკატორი 1.2.1.1 შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი. რადგან 1.2 ის მეტწილობა პირველი სტანდარტის შესაბამისობაა, პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია .

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის თვითშეფასების მიხედვით, ის ემსახურება მოსწავლეთა ზოგად და უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ განათლებას, უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ქმნის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალურ, ემოციურ და სოციალურ ზრდას, თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვით.

აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს მისიის გადასინჯვაზე არსებული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული სკოლის ფილოსოფია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა უსაფრთხო, ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, მოსწავლეების აკადემიური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე მიდგომების დანერგვა სწავლების პროცესში, პატივისცემის ჩანერგვა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, და გარემოზე ზრუნვა. სკოლის ხედვა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობით თითოეული მოზარდის წარმატებაზე, რაც მიზნად ისახავს პატრიოტი, ტოლერანტი, პასუხისმგებლიანი, მოტივირებული და საზოგადოებრივად აქტიური პიროვნებების აღზრდას, რომლებიც მზად იქნებიან თანამედროვე გამოწვევებისთვის და აღჭურვილნი იქნებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლის ფილოსოფია და მისია მკაფიოდ არის განსაზღვრული და უშუალოდ უკავშირდება მის ადგილმდებარეობასა და არსებულ ეკოლოგიურ გამოწვევებს. სკოლის თვითშეფასება ხაზს უსვამს იმას, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს სწავლას, განვითარებას და საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას. ეს იდეები აისახება სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, რომლებიც შემუშავებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობით. თვითშეფასების მიხედვით, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ დაცვას, არამედ გარემოს, სადაც მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის უფლებებს და კონფლიქტები წყდება მედიაციის გზით. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაფორმალურ განათლებას, რასაც ხელს უწყობს სხვადასხვა ინიციატივა, როგორიცაა სასკოლო პროექტები, ეკო-კლუბი და მკითხველთა კლუბი. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტელექტუალურ და პიროვნულ ზრდას, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეების იდეა.

სკოლა აქტიურად არის ორიენტირებული გარემოს დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების თვითდამკვიდრების დონის ამაღლებას როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოში. მისია ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას, თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნის შეძენასა და დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებას. სკოლის საბოლოო მიზანია მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც ეცოდინებათ ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება და დაცვა. სკოლაში პოზიტიური თანამშრომლობითი გარემოა, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სამთაწყაროს საჯარო სკოლის **ფილოსოფია აქტიურად არის გავრცელებული სასკოლო საზოგადოებაში**. სკოლის თვითშეფასების მიხედვით, მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები კარგად იცნობენ სკოლის მიზნებსა და ღირებულებებს, რაც აისახება მათ ქმედებებში. აღსანიშნავია, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ზაფხულში დაიწყო მუშაობა ახალი მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაზე. მასწავლებელთა ჯგუფის ინიციატივით გადაიხედა და განახლდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რისთვისაც ჩატარდა კვლევა კითხვარის საფუძველზე და განხორციელდა SWOT-ანალიზი. 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული შვიდწლიანი და ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა წარედგინა დირექტორს, განიხილეს პედსაბჭოს სხდომაზე და საბოლოოდ დამტკიცდა სამეურვეო საბჭოზე. ფილოსოფიის ფორმირების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ოფიციალურად დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით 2025 წლის მარტში, რაც მიუთითებს მუდმივ განვითარებაზე და თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებზე რეაგირების უნარზე. დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ამ პროცესისთვის შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო

ჯგუფი, რომელმაც განსაზღვრა სკოლის ძლიერი მხარეები და მკაფიო პრიორიტეტები. ჯგუფის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა სკოლის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩარჩო, რომელიც გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან. აღინიშნა, რომ მოხდება აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა, ასევე პროექტის რევიზია და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა/დამტკიცება. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს სკოლის გამჭვირვალობასა და დემოკრატიულ მიდგომას ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში, მისიისა და ხედვის დამტკიცების შემდეგ, აქტიურად მიმდინარეობს მათი გავრცელება და გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში. შესწავლილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ დამრიგებლები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ამ პროცესში, რადგან ისინი პირველები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. ინფორმაციის ეფექტურად გავრცელებისთვის გამოიყენება სოციალური მედიის პლატფორმები, როგორიცაა Facebook და Messenger, სადაც სპეციალურად შექმნილი ჯგუფები ხელს უწყობენ სკოლის ღირებულებების პოპულარიზაციას. ამ ჯგუფებში რეგულარულად ქვეყნდება განახლებული ინფორმაცია, განიხილება სკოლის აქტივობები და სიახლეები, რაც აძლიერებს სკოლის ფასეულობებს და ეხმარება მომავალი თაობის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, გაიაზრონ სკოლის მისია და მნიშვნელობა. ეს პროცესი ხელს უწყობს სკოლის კონცეფციის უკეთ გააზრებას და მის მიზნების წარმატებით განხორციელებას, რადგან თითოეული მონაწილე აცნობიერებს საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას. დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის არსებული ვერსია შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. აღინიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, დირექცია, კათედრების ხელმძღვანელები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგია. ექსპერტთა მიგნებებით დასტურდება, რომ პირველადი ვერსიის შექმნაში ჩართულნი იყვნენ სტრატეგიული განვითარების ჯგუფის წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) და კათედრის წევრები. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სამთაწყაროს საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფს თავისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობას. შესწავლილი დოკუმენტაციით და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ აღნიშნული ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება და საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, რომელიც მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებით არის

შექმნილი. დამატებით, ეს ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სკოლის საინფორმაციო დაფებზე. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დედოფლისწყაროს რაიონის , სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შესწავლილი დოკუმენტაციითა და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება ზუსტად ემთხვევა მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.ეს უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას საგანმანათლებლო სივრცეში და ადასტურებს მის სრულ შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ აქტებთან. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისია , ხედვა, ღირებულებები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
4. დირექტორის მშობლებთან შეხვედრის ოქმი;
5. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
7. მინისტრის ბრძანება ,,სკოლის სახელწოდება’’;
8.სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მმართველობითი პროცესების ყველა ძირითად ეტაპს. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ეს პროცესები მოიცავს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას, ასევე სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცედურებს. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს. ასევე, მკაფიოდ არის განსაზღვრული მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშების მომზადების პროცესები, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის თანმიმდევრულობასა და განვითარებას. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის მნიშვნელოვან დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი: სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას განსაზღვრავს მეთოდოლოგიის თავი 10. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა, რომლის თანახმად სკოლის სტრატეგიას ამტკიცებს დირექტორი. აღნიშნული ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, **სკოლის განვითარების სტრატეგია** უნდა წარედგინოს **სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად**. აღნიშნული ინდიკატორი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად წარმოაგდინა ბრძანება N 2-112, რომლის თანახმად ცვლილება შევიდა სსიპ დედოფლისწყაროს მუნციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის 2025 წლის 5 მარტის N 2-35 ბრძანებაში ,,სსიპ დედოფლისწყაროს მუნციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დანართში თავი 10 – „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება / გაზიარება /დამტკიცების პროცესის აღწერა“, და მასში არსებული პუნქტი 2 შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარების შვიდწლიან მიმართულებებს. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის მიზანია გრძელვადიანი სტრატეგიის ფორმულირება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაძლიერებას, დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას, მშობელთა აქტიურ ჩართულობას და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. აღინიშნება, რომ სტრატეგიული გეგმის პერიოდული გადახედვა და მოდიფიკაცია აუცილებელია, ხოლო მისი განსახორციელებლად ყველა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და მათ მისაღწევ გზებს. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სტრატეგიული გეგმა ციკლური ხასიათისაა და მისი განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ ხდება. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რადგან ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მათ შესაბამის ამოცანებს. დოკუმენტის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი: დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 5 მარტის N 2-37 ბრძანებით, მაშინ როდესაც მისი მოქმედების პერიოდი 2024 წლიდან იწყება. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, **სკოლის განვითარების სტრატეგია** უნდა წარედგინოს **სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად**. შესაბამისად, დოკუმენტის დამტკიცების თარიღისა და ფორმის გათვალისწინებით, იკვეთება პროცედურული ხარვეზი – სტრატეგია არ დაუმტკიცებია სამეურვეო საბჭოს, რაც არღვევს რეგულაციით დადგენილ ვალდებულებას და უკავშირდება შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად პუნქტს. აღნიშნული ინდიკატორი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად წარმოაგდინა

შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც 2025 წლის 2 ოქტომბრამდე სკოლა სტრატეგიულ გეგმას განიხილავს პედაგოგიურ საბჭოსთან რის შემდგომ დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლამ განავითარა 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს. შესწავლილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ასახავს როგორც შიდა, ისე გარემო ფაქტორებს: შესაძლებლობებს, საფრთხეებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს. ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად ეხმარება სკოლას პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და მათი განხორციელების გზების ეფექტურად გამართვაში. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული გეგმა ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. მიგნებები სრულად თანხვედრაშია შესწავლილ მტკიცებულებებთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამოქმედო გეგმის სისტემურობასა და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეული ნაბიჯი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. კერძოდ: დოკუმენტში განსაზღვრულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები.აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება N 2-35 - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
2. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
3. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლას **შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ეფექტურ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებისა და შეფასების საშუალებით. ეს პროცესი ემსახურება იმის დადგენას, თუ რამდენად წარმატებით არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო ამ მიზნების მიღწევის გზები. სკოლას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული და დამტკიცებული ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტურ მექანიზმებს. ეს უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობასა და მიზნების მიღწევის ეფექტურობას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილია სტრატეგიული გეგმის რეგულარული გადახედვა: ყოველწლიურად ხდება სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება. მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი განიხილავს გეგმას, ხოლო განხილვის მიგნებები/დასკვნები გათვალისწინებული იქნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, შესაძლებელია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები, რის ინიცირებასაც სკოლის დირექტორი მოახდენს. მიმოხილვის პროცესი განხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მიერ, რომელსაც სკოლის დირექტორი უხელმძღვანელებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში (შესაბამისი პერიოდის შეფასება) და 7 წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი ანგარიში), ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ეს ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ეს სისტემა უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული მიზნების მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, დროულ კორექტირებას, რაც მნიშვნელოვანია ინსტიტუციური განვითარებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ინდიკტორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ინდიკტორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ინდიკტორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედსაბჭოს ოქმი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
4. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეების განვითარებისთვის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რასაც ხელს უწყობს **მკაფიოდ განსაზღვრული და ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულები**. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფები. დირექტორის მოვალეობაა სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა და გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე საკუთარ პოტენციალს სრულად განავითარებს. დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი და სხვა თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის საქმიანობის ეფექტურ მართვასა და რეგულირებას. პედაგოგიური საბჭო პასუხისმგებელია სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგზე, აქტიურად განიხილავს მოსწავლეთა საჭიროებებს და გეგმავს ინტერვენციებს. პედკოლექტივი მუდმივად მუშაობს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებაზე, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სწავლის სურვილი და საშუალება. სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლეები თავს კომფორტულად და მოტივირებულად გრძნობენ, რითაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების კეთილდღეობასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. **სკოლის** სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. გარდა ამისა, სკოლაზე მორგებული დებულებების მიხედვით საქმიანობენ ბიბლიოთეკა, კათედრები და დამრიგებლები. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი, ასევე დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვასა და კოორდინირებულ მუშაობას. დეტალურად არის აღწერილი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა (7 ხმის უფლების მქონე წევრი: 3 პედაგოგი, 3 მშობელი, სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე და 1 მოსწავლე წევრი) და სკოლის ადმინისტრაცია (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ინფო-

მენეჯერი, მოსწავლეთა თვითმმართველობა აღჭურვილია გარკვეული უფლებებით, მათ შორის რეკომენდაციების შემუშავებისა და კლუბების შექმნის უფლებით. სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურა გრაფიკული სახით, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის შიგნით ანგარიშვალდებულების პრინციპის გაგებას. დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რაც ქმნის გამჭვირვალე,ორგანიზებულ სამუშაო გარემოს და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გადანაწილებული კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურ მენეჯმენტს. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ხელს უწყობს წარმატებულ მუშაობას და პროცესების ეფექტურად მართვას. დირექტორი და დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელნი არიან სკოლაში ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საკითხების მართვაზე. დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგს, ასევე ახორციელებს მონიტორინგს სწავლის პროცესში პრობლემების მქონე მოსწავლეებზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამის მონიტორინგზე, სკოლის Facebook გვერდზე პასუხისმგებელი პირები და სხვა. მოადგილე ასევე ზრუნავს სკოლის უსაფრთხოებაზე, მათ შორის თამბაქოს მოხმარების კონტროლზე. პედაგოგიური საბჭო და ხარისხის მართვის ჯგუფი მუშაობენ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათ კარიერულ წინსვლას. ამის დასტურია სამი მასწავლებლისთვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება, რაც მოწმობს სკოლის წარმატებულ მუშაობას და პედაგოგების მუდმივ პროფესიულ ზრდას. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა), რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, სრულად თანხვედრაშია შესწავლილ მტკიცებულებებთან და აძლიერებს შთაბეჭდილებას სკოლის ორგანიზებულობასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულები და მათი დანიშნულება- სამთაწყაროს საჯარო სკოლა;
2. სტრუქტურული-ერთეულების-პირების ფუნქციების აღწერის შესახებ;
3. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
5. ბრძანება N 2-10 - ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
6. ბრძანება N 1 კ-03 - უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
7. ბრძანება N 2-38 - ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
8. ბრძანება N 2-33 - ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი განსაზღვრის შესახებ;
9. ბრძანება N 1 კ - 78 - სასკოლო აქტივობების მონიტორინგის პასუხიმგებლობის განსაზღვრის შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება პერსონალის მართვას და ქმნის გარემოს, სადაც თითოეულ თანამშრომელს შეუძლია პროფესიული განვითარება და ღირსეული შრომითი პირობებით სარგებლობა. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის შინაგანაწესი და წესდება ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს და განსაზღვრავს თანამშრომლების უფლებებსა და ვალდებულებებს. პედაგოგებისა და სხვა თანამშრომლების შრომითი პირობები მკაცრად რეგლამენტირებულია შრომის კოდექსთან შესაბამისობაში. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს სამართლიან სამუშაო გრაფიკზე, დროულ ანაზღაურებასა და მოტივაციის სისტემებზე, რაც თანამშრომლებს მოტივირებულსა და ჩართულს ინარჩუნებს. სკოლა არა მხოლოდ ასრულებს საკანონმდებლო მოთხოვნებს, არამედ აქტიურად ცდილობს თანამშრომლობის, პროფესიული განვითარებისა და თანადგომის კულტურის შექმნას. ახალი კადრების ადაპტაციის პროცესი უზრუნველყოფს მათ სწრაფ ინტეგრაციას, ხოლო მოტივაციის მექანიზმები ხელს უწყობს პედაგოგებისა და ადმინისტრაციის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლებამოსილებები. ეს დოკუმენტაცია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის,

სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე, სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. ექსპერტთა მიგნებები სრულად ადასტურებს სკოლის მიერ პერსონალის მართვის კანონმდებლობასთან შესაბამისობას და შრომითი პირობების გამჭვირვალობას. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სამთაწყაროს საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების მექანიზმი. კერძოდ, თუ მასწავლებელი იმყოფება ბიულეტენზე ან უხელფასო შვებულებაში, სკოლა მყისიერად ახდენს მის ჩანაცვლებას, რის შედეგადაც საგაკვეთილო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და სტაბილურობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა განათლების ხარისხისთვის. ამრიგად, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არის მყარი და ფუნქციონალური დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს როგორც ორგანიზაციულ ეფექტურობას, ასევე დასაქმებულთა მხარდაჭერასა და განვითარებას. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სამთაწყაროს საჯარო სკოლა **მასწავლებელთა შერჩევის პროცესს წარმართავს გამჭვირვალე და ობიექტური პრინციპებით**, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას კანონმდებლობის სრული დაცვით. მასწავლებელთა შერჩევის პროცესი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესსა“ (N174/ნ, 20.08) და „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებს“ (N16/ნ, 21.02.2018). ასევე, პროცესი რეგულირდება ბრძანება N 2-09-ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ და დირექტორის ბრძანება N 2-40- სტრუქტურული პირების ფუნქციების აღწერის შესახებ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, რაც

უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. განცხადებები ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ – საჯაროდ, ვებგვერდზე: teachersjobs.ge. კონკურსის ეტაპები მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევას, გასაუბრებას და კონკურსის შედეგების განსაზღვრას. გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა. პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭვირვალეობასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს პედაგოგების კვალიფიკაციის გაუმჯობესებას. ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა მოიცავს სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვას, საჭიროების შემთხვევაში ხანგრძლივ და მიზანმიმართულ ტრენინგებს, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებას, დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულ მიწოდებას, პოზიტიური გარემოს შექმნას, თანამშრომლობასა და დისციპლინას. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს. მთლიანობაში, სკოლის მიდგომა ადამიანური რესურსების მართვისადმი არის სისტემური, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი და მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და კეთილდღეობისკენ.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სერტიფიცირებული მასწავლებლები ზოგიერთ საგანში (სამოქალაქო განათლება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ქიმია, ფიზიკური აღზრდა და სპორტი), ასევე სპეციალური მასწავლებელი. ვაკანსიების განახლება მუდმივად ხდება და სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი მხარდამჭერი ღონისძიებებისთვის. სკოლას შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გაწერილი აქვს ხარვეზის აღმოფხვრა სერტიფიცირებული კადრების მოზიდვისა და სპეციალური მასწავლებლის უზრუნველყოფის კუთხით. აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

<u>**სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:**</u> შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში უზრუნველყოს კვალიფიციური/სერტიფიცირებული, პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და სპეციალური მასწავლებლის დასაქმება.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა ასაქმებს პირს კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" შესაბამისად. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კანდიდატების შერჩევისას სკოლა ითხოვს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის დიპლომებს, სერტიფიკატებსა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ ცნობებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური პერსონალის მიღება. თუმცა, დღეის მდგომარეობით, სკოლა საჭიროებს კვალიფიციურ კადრებს გარკვეულ საგნებში, ვინაიდან არ ჰყავს სერტიფიცირებული მასწავლებლები. სკოლის და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მუშაობის მიზნით, საათები გადანაწილებულია სკოლაში დასაქმებულ მოწვეულ უსტატუსო მასწავლებელზე. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლას ჰყავს **3 წამყვანი მასწავლებელი**; **13 უფროსი მასწავლებელი**, **4 კი მოწვეული მასწავლებელია. ვიზიტის პერიოდში კადრის არარსებობის გამო,** მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებს ატარებდნენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები და არა სპეციალისტები, ასევე სკოლას არ ჰყავდა სამოქალაქო განათლებისა პედაგოგი და სპეც.მასწავლებელი. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული პედაგოგების კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ცდილობს დაიცვას გამჭვირვალე პროცედურები კადრების შერჩევისას და აქვს გარკვეული წარმატებები მასწავლებლების სტატუსის ამაღლების კუთხით, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები სერტიფიცირებული კადრების დეფიციტის და ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაციის შეუსაბამობის თვალსაზრისით, რაც აღიარებულია სკოლის მიერ და დადასტურებულია ექსპერტთა მიგნებებით. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**, რადგან სკოლას შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გამსაზღვრული აქვს ხარვეზის აღმოფხვრა სერტიფიცირებული და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვის მიმართულებით.

<u>**სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:**</u> შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში უზრუნველყოს პერსონალის დასაქმება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში **ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას**, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით. სკოლის საგნობრივ კათედრებზე აქტიურად მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, რაც დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია პერსონალს ერთობლივად და გუნდურად ხელმძღვანელობს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი. სკოლის საქმიანობა მთლიანად თანამშრომლობით პრინციპებზეა დაფუძნებული.სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, რეგულარულად ტარდება ტრენინგები და პროექტები, რაც პედაგოგებს ახალი მეთოდებისა და მიდგომების ათვისებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მონაწილეობდა USAID-ის "ლიდერი მასწავლებლების" პროგრამაში, სადაც დაწყებითი საფეხურის სამი მასწავლებელი გადიოდა ტრენინგებს და მიღებულ ცოდნას კოლეგებს უზიარებდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ეს მიგნებები პირდაპირ კავშირშია სკოლის მონაწილეობით და გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებულ მიდგომასთან, რადგან პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩართულობა და გამოცდილების გაზიარება სწორედ გუნდური მუშაობის შედეგია. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად აღიარებს და საჯაროდ აზიარებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიღწევებს, რაც ხელს უწყობს მოტივაციისა და პროფესიული ზრდის ამაღლებას. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიებებისა და წარმატებების შესახებ. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება და ფულადი პრემია. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკა, რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის თანამშრომელთა სახელობითი სია;

- ბრძანება N 2-132 - ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება N2-123 ში მასწავლებელთა 2024-2025 სასწავლის I სემესტის საათობრივი დატვირთვის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-02 - მასწავლებელთა 2024-2025 სასწავლის II სემესტის საათობრივი დატვირთვის დამტკიცების შესახებ;
- თანამშრომლის პირადი საქმე;
- წარდგინება - სტატუსის ამაღლების შესახებ;
- ბრძანება N 2-01 წახალისების მადლობის გამოცხადების შესახებ;
- მადლობის სიგელები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- ბრძანება N 2-44- თანამშრომელთა(გარდა მასწავლებლის) საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2-09-ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა **აქტიურად ახორციელებს პერსონალის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს საგაკვეთილო დაკვირვებასა და მასწავლებლების თვითშეფასებას**. შესწავლილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლას, სამეურვეო საბჭოსთან

შეთანხმებით, შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე, კარიერულ წინსვლასა და ძირითადი საჭიროებების განსაზღვრაზე ზრუნვას, ასევე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასა და სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. დოკუმენტის თანახმად, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა ხორციელდება ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლის საქმისმწარმოებელი, ასევე ბუღალტერი მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას, ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და ახალ სტანდარტებს, რაც სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და კარიერულ წინსვლას. შესწავლილი დოკუმენტაციითა და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა ატარებს მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებს და ურთიერთდასწრებებს, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა, რომ ხელი შეეწყოს სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან რეგიონალურ და ეროვნულ კონფერენციებში და საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია გამართული კომპიუტერული ლაბორატორია მუდმივი ინტერნეტით, რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, ონლაინ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში ნებისმიერ დროს მიიღონ მონაწილეობა. სამ მასწავლებელს წარმატებით მიენიჭათ წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, რაც სკოლის ხელშეწყობის ეფექტურობაზე მიუთითებს. სკოლა ასევე ჩაერთო მეზობელი სოფლის სკოლათაშორის კონფერენციაში, სადაც მონაწილე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ. ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში დაკვირვებული მიდგომები ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის მიმართ მიუთითებს მმართველობის მიზანმიმართულ მცდელობებზე ახალი და დაწინაურებული თანამშრომლებისთვის ხელსაყრელი და სტრუქტურირებული სამუშაო გარემოს შექმნის კუთხით. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელთა სამუშაო პროცესებში სწრაფი და ეფექტიანი ჩართვისთვის შესაბამის გარემოს — პროცესში ჩართულია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მექანიზმები. მათ შორის, ახალი კადრის ჩართვა სკოლის კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამგვარი მიდგომები ორგანიზაციული მხარდაჭერის კულტურას ასახავს. დამატებით, სამთაწყაროს საჯარო სკოლაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა აძლიერებს აღნიშნული პრაქტიკის სისტემურობას და განვითარებაზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივების წახალისება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფასეულობად არის დაფიქსირებული როგორც მენეჯმენტის, ასევე პედაგოგიური კოლექტივის ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლა ქმნის ღია და მხარდაჭერილ გარემოს, სადაც პერსონალის მიერ წამოჭრილი ახალი იდეები ხელშეწყობასა და რეალიზაციის შესაძლებლობას პოულობს. დირექტორისა და თანამშრომელთა შეფასებით, სკოლის მენეჯმენტი გამოირჩევა ინკლუზიური მიდგომით და თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული მცდელობები აღიქმება როგორც ინსტიტუციური წარმატების ნაწილი. დასაფასებელია, რომ მხარდაჭერა ვრცელდება არა მხოლოდ პედაგოგიურ პერსონალზე — მაგალითად, სკოლის ბუღალტერს პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით დაუფინანსდა სწავლება ახალ საბუღალტრო სისტემაში.

გარდა ინდივიდუალური წახალისებისა, სკოლის აქტივობები მოიცავს მრავალფეროვან საგანმანათლებლო და შემოქმედებით პროექტებს, რომელთაც პედაგოგები გეგმავენ და ახორციელებენ. ეს ინიციატივები, როგორიცაა პროექტები ტაო-კლარჯეთზე, დავით აღმაშენებელზე ან შეხვედრები ცნობილ პიროვნებებთან, ქმნის ინტეგრირებულ გარემოს, სადაც მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობა თანაბრად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ პროცესში პედაგოგები იღებენ როგორც პრაქტიკულ მხარდაჭერას, ასევე სიმბოლურ დაფასებას — მადლობის წერილებისა და სიგელების სახით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ პროფესიული უნარების გაღრმავებას, არამედ შრომის მოტივაციასა და კოლეგიალური გარემოს განმტკიცებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლიდერი მასწავლებლის სერთიფიკატი;
- მასწავლებელთა ტრენინგის ცნობები;
- წამყვანი მასწავლებლები-ამონაწერი ბაზიდან;
- ადამიანერი რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
- მათვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის მასწავლებელთა ბაზა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესებს. პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების

მიღწევისთვის საჭირო პროცესების გამჭვირვალე მართვას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და მათი განვითარების ხელშეწყობას. სკოლამ სისტემურად მოაწესრიგა პასუხისმგებლობათა განაწილება: სხვადასხვა პროცესის მართვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი ახდენს პროცესების ანალიზსა და რეკომენდაციების გაცემას. აღსანიშნავია, რომ სკოლის პოლიტიკა ორიენტირებულია ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე და ეფუძნება შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც მიუთითებს სისტემურ ხედვაზე და პროგრესზე ორიენტირებულ მენეჯმენტზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია მმართველობითი, საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესები, რომელთა განხორციელება და რეგულირება ხორციელდება შიდა დოკუმენტების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ერთობლივად ქმნიან იმ სამართლებრივ და ორგანიზაციულ ჩარჩოს, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული პროცესების ეტაპები, პასუხისმგებლობები და მოქმედების მექანიზმები. სკოლაში ჩამოყალიბებულია საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც სრულად ასახულია შინაგანაწესში. დისციპლინარული კომიტეტის ჩართულობით უზრუნველყოფილია როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომელთა და მშობელთა საჩივრების სისტემური განხილვა, რაც ხელს უწყობს სკოლის მმართველობის გამჭვირვალობას და სამართლებრივი წესების დაცვას. გასაჩივრების ვადებისა და ადგილების მკაფიოდ განსაზღვრა აღნიშნულ პროცესს სტრუქტურულობას და წინასწარ განსაზღვრულობას ანიჭებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში შექმნილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების, მშობლებისა და თანამშრომლების კანონიერი უფლებების დაცვას. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრულია შრომის შინაგანაწესით, ასევე ცალკეული დოკუმენტებით, რომლებიც მიზანმიმართულად ასახავს სკოლის პასუხისმგებლობებს უფლებების დაცვისა და საჩივრების განხილვის კუთხით. თანამშრომლებსა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, მოსწავლისა და მშობლის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტები და სკოლის შიდა პოლიტიკები ქმნიან იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიან და სამართლებრივად გამჭვირვალე გარემოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მოიცავს არა მხოლოდ

საჩივრების განხილვის წესს, არამედ განსაზღვრავენ საჩივრის შეტანის ვადებსა და ფორმებს, რაც განამტკიცებს ფორმალიზებულ და ეფექტურ მიდგომას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და რეალურად უზრუნველყოფს უფლებების დაცვისა და ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პროცესების გამჭვირვალობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რაც დაფუძნებულია დაწესებულების შიდა დოკუმენტაციასა და პრაქტიკაში არსებულ მექანიზმებზე. სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე ცალკე დოკუმენტად დამტკიცებული მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია აყალიბებს სამართლებრივად გამჭვირვალე და სტრუქტურირებულ გარემოს. დოკუმენტებში დეტალურადაა გაწერილი როგორც პასუხისმგებლობები და უფლებები, ასევე მათი დაცვის და რეაგირების პროცედურები.

შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა და უფლებამოსილება, რაც საჩივრების განხილვის პროცესს ანიჭებს ფორმალიზებულობასა და კანონმდებლობისადმი შესაბამისობას. აღნიშნული წესები თვალსაჩინოდაა გამოფენილი სკოლის სივრცეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების ინფორმირებულობას. მშობლებისთვის დოკუმენტაცია ხელმისაწვდომადია მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მეშვეობით, ხოლო თანამშრომლებს შინაგანაწესის გაცნობის შესახებ ხელშეკრულებით განესაზღვრებათ ვალდებულება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - სამთაწყაროს საჯარო სკოლა;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის;

- დასაქმებულთა პირადი საქმეები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით. მმართველობით პროცესებში საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა სკოლის მენეჯმენტის ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩანს. კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხების ფართო სპექტრი მოიცავს მშობელთა კრებებს, Facebook-ს, მესენჯერს, TEAMS-ს, სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდს, სატელეფონო ზარებსა და სმს-გზავნილებს. რეგულარული კომუნიკაციის საშუალებით სკოლა არამხოლოდ გადასცემს ინფორმაციას, არამედ ქმნის შესაძლებლობას, დაინტერესებულმა პირებმა – განსაკუთრებით მშობლებმა – დააფიქსირონ საკუთარი აზრი და წინადადებები. პანდემიის პერიოდში და შემდგომაც სკოლა არ ჩამოშორდა მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას, არამედ გააფართოვა ონლაინ არხების გამოყენება. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირიც, რომელიც უზრუნველყოფს ვებგვერდისა და სოციალური გვერდების ფუნქციურ გამართულობას, რაც მიანიშნებს პროცესების ფორმალიზებაზე. სკოლაში დანერგილია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესიც, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიკაციის სისტემურ მართვას. განხორციელებული შეხვედრების და უკუკავშირის პროცესების საფუძველზე სკოლის ადმინისტრაცია ახდენს თემის საჭიროებების გაანალიზებას და მათზე რეაგირებას სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ეფექტურად იყენებს კოლეგიალური მართვის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო, რომელთა დაკომპლექტება სრულად შეესაბამება კანონმდებლობით

დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ ორგანოებში მასწავლებლებთან ერთად წარმოდგენილნი არიან მოსწავლეები და მშობლები, რაც ქმნის მრავალხმოვან და ინკლუზიურ მმართველობის მოდელს. კოლეგიური ორგანოების რეალური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებაში დადასტურებულია როგორც სხდომათა ოქმებით, ისე განხორციელებული ღონისძიებებითა და ინიციატივებით. დირექტორის და ადმინისტრაციის პოზიცია გახსნილია ნებისმიერი ჯგუფის წარმომადგენლის მოსაზრებების მიმართ. მშობლები აქტიურად გამოხატავენ საკუთარ აზრებს როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე კითხვარების მეშვეობით, ხოლო მათი მონაწილეობა მოსწავლეებთან ერთად სკოლის სხვადასხვა სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში ზრდის ჩართულობის ხარისხს და აძლიერებს პარტნიორულ ურთიერთობებს.

მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული აქტივობები, როგორიცაა „მხიარული სტარტები“ და სხვა სახალისო ღონისძიებები, მოწმობს, რომ მოსწავლეებს არა მხოლოდ ეძლევათ სივრცე თავიანთი იდეების რეალიზებისთვის, არამედ სკოლის მენეჯმენტი ნამდვილად აფასებს ამ ჩართულობას. კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაზრდელად სკოლამ გააააქტიურა ელექტრონული ჟურნალისა და სოციალური ქსელის პლატფორმების გამოყენება, რაც ინფორმაციის მიმოცვლას კიდევ უფრო გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს ხდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორთან შეხვედრების ოქმი;
- მართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
- სოციალური სკოლის გვერდი-ბმული facebook.com;
- ვებ გვერდი-ბმული skolebi.emis.ge
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე, რაც გამოიხატება როგორც ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის არსებობით, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვისთვის არსებული მექანიზმებით. თუმცა, არსებობს გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებს დამატებით მუშაობას სრული შესაბამისობის მისაღწევად.

<u>საგანგებო სიტუაციების მართვა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება:</u>

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლა აქტიურად მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით, სკოლაში დამონტაჟებულია ხანძრსაწინააღმდეგო სისტემა, სკოლამ მიმართა უფლებამოსილ უწყებას, რათა დადგინდეს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე, წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის/მდგრადობის ინსპექტირების დასკვნის მისაღებად.

სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის წევრთა მოვალეობები დამტკიცებულია ბრძანებით. მოქმედებს წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

<u>შენობის უსაფრთხოება და მონიტორინგი:</u>

სკოლა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უსაფრთხოების დონეს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ის უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას 10.04.2026-მდე.

<u>**უსაფრთხოების სფეროში სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, სკოლას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:**</u>

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.04.2026) უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ასევე სკოლამ <u>მიიღო რჩევა</u>: სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ეს ხელს შეუწყობს სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და ყველა საჭირო ნორმის დაცვას.

ამჟამად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად, რაც მიუთითებს პროგრესზე, თუმცა ხაზს უსვამს არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო ნაბიჯების აუცილებლობას სკოლის უსაფრთხოების სისტემის სრულყოფისთვის.<u>**ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექიმი, ვაკანსია გამოცხადებულია ვებ გვერდზე <u>https://teacherjobs.ge/</u>. სკოლას შესაბამისობის გეგმით 10.09.2025 წ. გაწერილი აქვს ექიმის დასაქმება , თუმცა საზღვრისპირა გეოგრაფიული მდებარეობა, წარმოშობს მცირე რისკებს. <u>სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს მექანიზმი ექიმის/შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებამდე როგორ იმოქმედებს თუ სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრს, სკოლის ტერიტორიაზე დასჭირდება პირველადი სამედიცინო დახმარება.</u> <u>**ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**</u>

სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2025) სკოლაში დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხდება ორგანიზებულად და რამდენიმე დონეზე გაწერილი მექანიზმების საფუძველზე. პროცესი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის – მორიგე მასწავლებლები და დამლაგებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა გადაადგილებას შესვენების დროს, რაც ხელს უწყობს დისციპლინის და უსაფრთხოების ერთობლივ დაცვას. სკოლის შენობაში უცხო პირების შესვლა მკაცრად რეგულირდება: სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირის დაშვება დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობით. ვიზიტორთა მონაცემების აღრიცხვა ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობის განაწილებას. სკოლის შემოსასვლელი კარი კონტროლდება კარისკაცისა და მორიგე მასწავლებლის მიერ, ხოლო გაკვეთილებზე დაგვიანებული მოსწავლეების აღრიცხვა სისტემურად ხორციელდება ამავე პირების მეშვეობით. სკოლის დერეფნებში თვალსაჩინოდ არის გამოკრული საჯარო ინფორმაცია, რაც ზრდის მოსწავლეთა და ვიზიტორთა ინფორმირებულობას შინაგანაწესის მოთხოვნების შესახებ. შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივად გამყარებულ საფუძველს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემო, რომელიც დაფუძნებულია როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მხარდაჭერის მექანიზმებზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 134 მოსწავლე და მათთვის აშკარად იგრძნობოდა უსაფრთხო და მხარდამჭერი ატმოსფერო. სკოლის დირექტორი, ადმინისტრაცია, პედაგოგები და სხვა თანამშრომლები ერთობლივად ზრუნავენ იმაზე, რომ მოსწავლეებმა თავი დაცულად და ღირსეულად იგრძნონ სასკოლო სივრცეში. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლასის დამრიგებლები, რომლებიც მუდმივად ადევნებენ თვალს მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობას და აქტიურად არიან ჩართული პრევენციულ პროცესებში. სკოლაში დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები და სისტემატურად აწვდის დირექტორს ინფორმაციას განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული მექანიზმი აძლიერებს პრევენციულ მოქმედებებს და უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას შესაძლო გამოწვევებზე. ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა, მორიგე მასწავლებელთა ჩართულობა და მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება ერთობლივად ქმნის სტრუქტურულად გამყარებულ ფსიქოლოგიურ უსაფრთხოების ჩარჩოს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ თავისუფალი თვითგამოხატვისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობების განვითარებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა საქმიანობა მიმართულია დაწესებულების სისუფთავისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. განსაზღვრულია პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სისუფთავე როგორც საკლასო ოთახებში, ისე სველ წერტილებსა და საერთო სივრცეებში. სკოლის ტერიტორია მოწესრიგებულია და აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

სკოლაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები მოსწავლეთა სქესისა და პერსონალის მიხედვით. ყველა კვანძი უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, არის სუფთა, დაცული, ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და აღჭურვილია პირადი ჰიგიენის საშუალებებით.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და მტუკი უზრუნველყოფენ საჭირო რესურსების იდენტიფიცირებასა და მათი ბიუჯეტში გაწერას. სკოლის ექიმის პოზიცია გამოცხადებულია ვებგვერდზე (https://teacherjobs.ge/) და მიმდინარეობს მისი შევსება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის კანონით განსაზღვრული მოთხოვნები. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა მარეგულირებელ აქტებს.

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც დანიშნულია საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ. დირექტორის მიერ დამტკიცებულია შესაბამისი დოკუმენტი მონიტორინგის მექანიზმების შესახებ, რაც მიზნად ისახავს პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას, უსაფრთხოებას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ელექტრონული მონაცემების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროვაიდერი – სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის კომპიუტერები აღჭურვილია მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამებით. მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია და შესაძლებელია მხოლოდ ავტორიზებული პირების მიერ.

სკოლის ელექტრონულ ბაზაზე და ფიზიკურ სივრცეში დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი ინფორმაცია. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები დაცულია სკოლაში შესაბამის ადგილას და არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის. პერსონალური ინფორმაცია საჯაროდ ვრცელდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის ორგანიზებული მართვა და ინფორმაციის უსაფრთხოება. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია – მათ შორის მიმდინარე დოკუმენტები და აქტიური პირადი საქმეები – ინახება საქმისმწარმოებელთან. ამ დოკუმენტებზე წვდომა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების და აღრიცხვის წესით, რაც უზრუნველყოფს მათ დაცულობასა და კონტროლს. ნაკლებაქტიურ მოხმარებაში მყოფი დოკუმენტები (როგორიცაა პირადი საქმეების არასახლებური ნაწილები და კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები) სათანადოდ არქივდება. ინფორმაციის უსაფრთხოების მიმართულებით, სკოლა იყენებს ლიცენზირებულ პროგრამებს და ანტივირუსულ სისტემებს. სასკოლო კომპიუტერებზე წვდომა დაცულია ინდივიდუალური პაროლებით. ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ საჭირო მოცულობით და მონაცემთა უსაფრთხოება მკაცრად კონტროლდება. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული დოკუმენტაციის დაცულობასა და ხელმისაწვდომობის მართვას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკტორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში;
- სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებული 2024 წელი.;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი;
- საევაკუაციო გეგმა;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- უსაფრთხოების პოლიტიკა;

- ბრძანება N 2-30 - ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N 2-66-სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის გერდზე განთავსებული ვაკანსიები;
- ტექნიკური პასპორტი სკოლის-სათაწყაროს საჯარო სკოლა .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა მდებარეობს ოთხ ორსართულიან კორპუსში, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნიშნულია როგორც ერთი მთლიანობა. შენობა რეაბილიტირდა 2024 წელს და ამჟამად იმყოფება ერთწლიან საგარანტიო ვადაზე. სკოლის სხვადასხვა ნაწილები აშენებულია 1974 და 1980-იანი წლების განმავლობაში. შენობა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და გადაცემულია სკოლას

უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო: შენობა აღჭურვილია განგაშის ინდიკატორებით, ცეცხლმაქრებით ყველა სართულზე, გარე და შიდა ვიდეოკონტროლის სისტემით, ხანძარსაწინააღმდეგო ჭავლითა და ევაკუაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. ლაბორატორიების სველი წერტილები და გამწოვი სისტემები ფუნქციონირებს, თუმცა აკლია შესაბამისი ინვენტარი და ტექნიკა. სკოლის შენობა ადაპტირებულია – მოეწყო შიდა პანდუსი და ლიფტი, საპირფარეშოები ადაპტირებულია (4 ერთეული). ფუნქციონირებს გარე სველი წერტილები და სასმელი წყლის ფანტანები. სკოლა იყენებს ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ინტერნეტს მხოლოდ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. საკლასო ოთახების უმეტესობა აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ითვალისწინებს შემდეგ საჭიროებებს:

- **კომპიუტერული ოთახი** – აღჭურვილია 20 პორტატული კომპიუტერით და პროექტორით;
- **სპეციალიზებული კაბინეტები** – მუსიკისა და გეოგრაფიის ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით;
- **ლაბორატორიები** – აღჭურვილი სპეციალიზებული ინვენტარით, თუმცა საჭიროებს დამატებით სადემონსტრაციო მაგიდას.
- **ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექტორის, ბუღალტრული და კანცელარიული სივრცეები** – აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით;
- **რესურს ოთახი** – ნაწილობრივ აღჭურვილია, თუმცა სპეციალური მასწავლებლის ვაკანსია ვიზიტის პერიოდში არ იყო შევსებული.
- **სააქტო დარბაზი და სპორტული სივრცეები** – ფუნქციონირებს შესაბამისი აღჭურვილობით.

სკოლის ფიზიკური სივრცე (საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა) და წყლის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე აქტივობებისთვის ხელსაყრელ გარემოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მოსწავლეებისა და პერსონალის განკარგულებაშია საერთო სარგებლობის სივრცეები – დერეფნები, ეზო, სპორტდარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სხვა ფუნქციური ზონები, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციას, პრაქტიკულ საქმიანობასა და დასვენებას. სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს რესურსების გამოყენების პირობებს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი ხელმისაწვდომია სასწავლო მიზნებისთვის. გაკვეთილების განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამოყენების წესები

მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო, ასევე მხატვრული ლიტერატურით. სამასწავლებლო ოთახში მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ლეპტოპებით. სპორტდარბაზი და გარე მოედანი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სასწავლო და სკოლისშემდგომი სპორტული აქტივობებისთვის. სკოლის ეზო კეთილმოწყობილია ხის სკამებით, რაც კიდევ უფრო ზრდის გარემოს კომფორტს. აღნიშნული გარემო და წესრიგი ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითდამოუკიდებლობას, სოციალურ ურთიერთობებსა და მოტივაციას, ხოლო პედაგოგებს — სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებასა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სამთაწყაროს საჯარო სკოლას აქვს სათანადოდ მოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, ასევე პერიოდული გამოცემებით (გაზეთები, ბროშურები). ბიბლიოთეკის ფონდი პერიოდულად შეივსო ახალი რესურსებით. ის ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისთვის სასწავლო წლის განმავლობაში.ბიბლიოთეკაში გამოკრულია ქცევის და სარგებლობის წესები, რაც ხელს უწყობს სივრცეში დისციპლინის დაცვასა და რესურსების ორგანიზებულ გამოყენებას. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით და განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის მკაფიო წესებს. ეს დებულება უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს. სწავლების პროცესის ხელშეწყობისთვის ბიბლიოთეკა წარმოადგენს მნიშვნელოვნად გამოყენებად სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წვდომას შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სამთაწყაროს საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას ყველა მოსწავლისთვის. სკოლის შენობა აღჭურვილია შიდა ლიფტით(ე.წ. მუხლუხო), რაც მოსწავლეებსა და თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად გადაადგილდნენ სხვადასხვა სართულზე. სკოლის მთავარ შესასვლელში მოწყობილია ლიფტი, ხოლო საპირფარეშოები ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

სკოლაში ამჟამად ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც ინდივიდუალურად არის შედგენილი ინდივიდუალური საგაკვეთილო გეგმა (ისგ). სკოლა უზრუნველყოფს გარემოსა და პირობების არსებობას, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ფართო სპექტრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

რესურს ოთახი მდებარეობს პირველ სართულზე და არის ადაპტირებული. ასევე პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, კაფეტერია, კამერების ოთახი, ქსელური მოწყობილობის სივრცე, დარაჯის ოთახი და სააქტო დარბაზი. მეორე სართულზე განთავსებულია გეოგრაფიის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო და დირექციის კაბინეტები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული სარგებლობის წესები. სკოლის ხედვა დაფუძნებულია ხელმისაწვდომობაზე, თანაბარ შესაძლებლობებზე და გარემოს ადაპტირებაზე, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეებისთვის სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის, რითაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა მრავალფეროვანი აქტივობების წარმართვას განაპირობებს. მოწესრიგებულია სკოლის ეზო, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა (რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი), ასევე ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების ამსახველი მასალები – მათ შორის ფოტოები და მოსწავლეთა ნამუშევრები – განთავსებულია სკოლის დერეფნებში, საკლასო ოთახებში, რაც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითი საქმიანობის აღიარებას. სკოლის არქივში დაცულია მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრები და პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის დაგროვებას და შთაგონების წყაროდაც შეიძლება იქცეს მომავალი თაობებისთვის.

სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ფრენბურთის ბადე, კალათბურთის ფარები, ტენისის მაგიდა, ბურთები და რაგბის ეკიპირება. ფუნქციონირებს გასახდელები, თუმცა არ არის მოწყობილი საშხაპე ზონა. სკოლის ეზო აღჭურვილია ხის სკამებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კომფორტს და სივრცის გამოყენებას დასვენებისთვისაც. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით იმართება კლასთაშორისი სპორტული შეჯიბრებები, ხოლო სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სასკოლო ღონისძიებებისთვის – პრეზენტაციები, ინტელექტუალური თამაშები, ტრენინგები და სხვა აქტივობები. სკოლის მიდგომა მოტივაციასა და ჩართულობაზე აგებულია და ხელს უწყობს მოსწავლეთა არააკადემიური უნარების განვითარებას, რაც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი შემავსებელია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- საკადასტრო გეგმა;
- 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N 2-31 - სპეციალური მასწავლებლის კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ;
- წერილი ინფრასტრუქტურას მერხების და სკამების მოთხოვნის შესახებ;
- ბიბლიოთეკის ფონდი;
- ინფრასტრუქტურის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებში, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამაღლებას. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 20 თანამედროვე პორტატული კომპიუტერითა და 1 პროექტორით. ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, რაც ხელს უწყობს ონლაინ რესურსებზე წვდომას, კვლევით და პროექტულ საქმიანობას. ლაბორატორიის გამოყენება ხორციელდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად, ხოლო სარგებლობის წესები თვალსაჩინოდ არის გამოკრული. სკოლა ასევე უზრუნველყოფს ტექნიკის მობილობას — პორტაბელური კომპიუტერებისა და პროექტორის საკლასო ოთახებში გატანის შესაძლებლობა ზრდის ტექნოლოგიების ინტეგრაციას საგაკვეთილო პროცესში და აფართოებს ვიზუალური მასალის გამოყენების შესაძლებლობებს. მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს, იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებს, სასწავლო ფილმებსა და პრეზენტაციებს, რაც აუმჯობესებს სწავლების დიფერენცირებასა და მრავალფეროვნებას. სკოლა იყენებს Microsoft Teams პლატფორმას პედაგოგიური საბჭოს ონლაინ შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლაში მოქმედი IT ინფრასტრუქტურა ეფუძნება განათლების სამინისტროს მხარდაჭერით მოწოდებულ ლიცენზირებულ პროგრამებს, რომლებიც იტვირთება სამინისტროს IT მენეჯერის ვიზიტისას, რაც უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის ლეგალურობასა და განახლებადობას. სკოლა ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ ინდივიდუალურ კომპიუტერებზე, შექმნან ელექტრონული საქაღალდეები, შეინახონ მნიშვნელოვანი სასწავლო მასალები და განავითარონ ციფრული უნარები. ლაბორატორიით სარგებლობის წესები თვალსაჩინოდ არის გამოკრული. ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს სივრცის ორგანიზებას და ტექნიკის სწორად გამოყენებას. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ასევე მოიცავს საზიარო სამუშაო სივრცეებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ტექნოლოგიებზე წვდომას. სკოლა უზრუნველყოფს ტექნიკური რესურსებით სარგებლობას საგაკვეთილო საათების მიღმაც — მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ დარჩნენ სკოლაში ონლაინ ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, მშობლებთან კომუნიკაციისა და პროექტული საქმიანობისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მათ, ვისაც სახლში არ აქვთ საჭირო ტექნიკა,

შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერებით. პედაგოგები ინტენსიურად იყენებენ ციფრულ რესურსებს, მათ შორის ვირტუალურ ლაბორატორიებს, სასწავლო ფილმებსა და პრეზენტაციებს, რაც გაკვეთილებს მეტად პრაქტიკულ, ინტერაქციულ და ინოვაციურ ხასიათს ანიჭებს. სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა სკოლათაშორის კონფერენციაში და მუდმივად ახორციელებს პროექტებს, რაც ხელს უწყობს ციფრული კომპეტენციების გაღრმავებას როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. სასწავლო პროცესისა და ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სკოლა გეგმავს ახალი საგანმანათლებლო პლატფორმებისა და პროგრამების დანერგვას, რაც მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებულ, ინოვაციურ სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ახალი სკოლის მოდელი კონფერენცია 2021;
- პროექტი - კოდის ერთი საათი - 2024 წელი;
- „ზღვა ერთი წვეთით იწყება“;
- 10 გლობალური პრობლემა, რომელიც შესაძლოა თანამედროვე ტექნოლოგიებმა გადაჭრას;
- ,,ასწავლე საქართველოსთვის ,, მასწავლებლის ვებ.გვერდი wakelet.com. ;
- კომპიუტერული ლაბორატორიის წესები;
- ინგლისური ენა - პროგრამა app.animaker.com. ;
- 2022-2023 სასწავლო წლის კონფერენცია .

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საქმისწარმოების მართვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„საქმისწარმოების წესი“**, რომელიც აწესრიგებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და შენახვის ერთიან პროცედურებს. საქმის წარმოება ხორციელდება როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ ფორმატში. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: **საკადრო და საერთო ბრძანებების**, **შემოსული და გასული წერილების**, ასევე

შრომითი ხელშეკრულებების. დასაქმებულთა და მოსწავლეთა **პირადი საქმეები ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით**, უზრუნველყოფილია ბუღალტრული დოკუმენტაციის აკინძვა და არქივირება დადგენილი წესით. დოკუმენტების ფორმატირება სრულდება **სატიტულო ფურცელზე**, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ, რაც უზრუნველყოფს ერთიან სტანდარტს ოფიციალურ მიმოწერაში. სკოლა 2012 წლიდან იყენებს **ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ხელმოწერის სისტემას eflow**, ასევე რეგულარულად მუშაობს **Eschool-ის ბაზასთან**, რაც ზრდის ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დოკუმენტებთან სწრაფ წვდომას, თანამედროვე მონაცემთა შენახვასა და გაზიარებას. სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ ციფრული სივრცით და ინფრასტრუქტურით, რაც ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო პროცესების გამართულ ფუნქციონირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში ინტეგრირებულია თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow.emis.ge), ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschools.emis.ge) და ოფიციალური ელექტრონული ფოსტა (email.mes.gov.ge). სისტემების უსაფრთხოება დაცულია სანდო პაროლებით, რომლებიც პერიოდულად იცვლება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სამთაწყაროს საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი eschools.emis.ge-ში, სადაც აღირიცხება მოსწავლეთა, დირექციის, მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის მონაცემები. ასევე, სისტემაში იტვირთება გაკვეთილების ცხრილები, საშტატო ნუსხა და სკოლის ბარათი. გადამოწმების შედეგად დასტურდება: შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. გააქტიურებულია სოციალურად დაუცველის ველი შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეზე. ასევე გააქტიურებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ეფექტიან და პასუხისმგებლობით განმსჭვალულ კომუნიკაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. სკოლა დროულად და სრულყოფილად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და აუცილებელ ინფორმაციას შესაბამის ინსტიტუციებს, როგორც ელექტრონული სისტემების საშუალებით, ისე საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური (საფოსტო) გზით. საქმისწარმოების წესში დეტალურად გაწერილია შესრულებული დოკუმენტაციის გაგზავნის პროცედურები, მათ შორის — **eflow.emis.ge** სისტემით დოკუმენტების ატვირთვისა და ოფიციალური მიმოწერის წესი. სისტემაში ასახული მონაცემები ადასტურებს სკოლის მიერ დოკუმენტაციის დროულ და სისტემურ მიწოდებას. სკოლას ამ ეტაპზე **არ გააჩნია იჯარით გაცემული ფართები**, რაც გამორიცხავს აღნიშნულ საკითხზე დამატებით ვალდებულებებს საგანმანათლებლო უწყებების წინაშე. სკოლა ღიად და პასუხისმგებლობით თანამშრომლობს განათლების სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასრულებს მითითებებს, პასუხობს მოთხოვნებზე და იცავს დადგენილ რეგულაციებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საჯარო სკოლების პორტალი;
- eflow-ს და Eschool-ის ბაზა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ეფექტიან კომუნიკაციას და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული აქვს **საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი**, რომელიც არეგულირებს როგორც კომუნიკაციის ფორმებს, ისე სკოლის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების პრინციპებს. სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის იყენებს **ოფიციალურ ვებგვერდს, სოციალურ ქსელებს (facebook.com), ელექტრონულ ფოსტას და სხვა საკომუნიკაციო არხებს**. Facebook გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას — რეგულარულად ქვეყნდება სასწავლო პროცესის, პროექტების, კლუბური მუშაობის, მოსწავლეთა წარმატებებისა და სკოლის ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია. სოციალური

ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია **დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კოორდინატორი**, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებისა და გავრცელების ორგანიზებულ და პასუხისმგებლობით გაწერილ მართვას. სკოლის კომუნიკაცია საზოგადოებისთან არის გახსნილი, მრავალარხიანი და გამჭვირვალე, რაც ქმნის ნდობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან – მოსწავლეებთან, მშობლებთან, თანამშრომლებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლა იყენებს მრავალარხიან საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებას და მუდმივ კავშირს სკოლის მიმდინარე საქმიანობასთან. სკოლას აქვს **მასწავლებელთა სპეციალური მესენჯერის ჯგუფები**, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველდღიურ ოპერატიულ კომუნიკაციას და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სწრაფ გაცვლას. **Microsoft Teams-ის პლატფორმა** აქტიურად გამოიყენება **პედაგოგიური საბჭოსა და თათბირების ჩასატარებლად**, როგორც დისტანციური, ისე ჰიბრიდული ფორმატით. აღნიშნული პრაქტიკა ეფექტურად ჩამოყალიბდა პანდემიის პერიოდში და სკოლა წარმატებით აგრძელებს მის გამოყენებას.

მშობლებთან კომუნიკაციისთვის ეფექტიანად ფუნქციონირებს **ელექტრონული ჟურნალი**, რომელიც ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასების პროცესს და უზრუნველყოფს მშობელთა მუდმივ ჩართულობას მათი შვილების აკადემიური პროგრესის მონიტორინგში. სკოლის **ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ ქსელში (facebook.com)** სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიღწევებისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ. ინფორმაცია არის სანდო, უტყუარი და დადასტურებული შესაბამისი ფოტომასალით. გვერდების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა აკისრია სკოლის დირექციას, რაც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესა და შესაბამისობას. სკოლის კომუნიკაცია გამჭვირვალეა, მრავალარხიანია და დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებასა და ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ვებგვერდი skolebi.emis.ge, სადაც განთავსებულია სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ინფორმაცია ვრცელდება ქართული ენაზე გარდა ამისა, სამთაწყაროს საჯარო სკოლას აქვს ღია და საჯარო ფეისბუქ გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მოიცავს სკოლის აქტივობების, პროექტების, მიღწევებისა და სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებების გაშუქებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. დოკუმენტები შემუშავებულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ და მათი შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან განსაზღვრული პირები. აღნიშნული დოკუმენტები საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე skolebi.emis.ge , რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-33 - ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილ პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N 2-38 - ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ფინანსდება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №476 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. დაფინანსების წყაროებია: სტანდარტული ვაუჩერი; სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული დამატებითი ვაუჩერული დაფინანსება; მასწავლებელთა დანამატების სახით მიღებული ფინანსური რესურსი; სკოლის ბიუჯეტი მზადდება და დამტკიცდება **„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის** მოთხოვნების შესაბამისად. ბიუჯეტის პროექტს ამზადებს დირექტორი, რომელიც წარმოდგენილია **სამეურვეო საბჭოს** განსახილველად და დამტკიცებისთვის. წლის ბოლოს ხდება მომდევნო ბიუჯეტის დეტალური დაგეგმვა, რაშიც აქტიურად ერთვებიან სკოლის თანამშრომლები: მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, ექიმი და ტექნიკური პერსონალი. მათი მოთხოვნები და მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულია ბიუჯეტის შედგენისას, რაც უზრუნველყოფს საჭიროებაზე მორგებულ ფინანსურ გეგმას. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს: სასწავლო რესურსების, ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის, სპორტული ინვენტარისა და ჰიგიენური საშუალებების შესყიდვას; ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო რესურსებს; ინფრასტრუქტურის

შენარჩუნებისა და განვითარების მიზნობრივ ხარჯებს. სკოლა აქტიურად იყენებს **SPA.ge** პლატფორმას შესყიდვების სამართავად. შესყიდვების კოორდინატორი ახორციელებს ბაზრის ანალიზს, ეცნობა ინვოისებს და ეფუძნება წინა წლების გამოცდილებას. შესყიდვების გეგმა დგინდება ყოველწლიურად და **20 ნოემბრამდე ამტკიცებს დირექტორი eFlow-ის სისტემის მეშვეობით**, რის საფუძველზეც ფორმდება ოფიციალური ბრძანება. ფინანსური რესურსების გამოყენება ხორციელდება გამჭვირვალედ, მიზნობრივად და სტრატეგიულად. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს **სამეურვეო საბჭო**, რომელიც შედგება სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. ყველა ცვლილება — იქნება ეს გადაუდებელი შესყიდვები, ხელფასების კორექტირება ან ვაუჩერული დაფინანსების ცვლილება — განიხილება და შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან. სკოლის ფინანსური მენეჯმენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სტრატეგიულ და მოქმედების გეგმებთან, რაც უზრუნველყოფს რესურსების გონივრულ განაწილებას და ადმინისტრირების გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების გამჭვირვალე, ეფექტიან და მიზნობრივ მართვას, რაც ემსახურება საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას და სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებას. სკოლის ბიუჯეტი ფორმდება და დამტკიცდება **სამეურვეო საბჭოს მიერ**, ხოლო მისი შესრულება და ცვლილებები კონტროლდება საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება ყოველწლიურად წლის ბოლოს, რაშიც მონაწილეობენ **მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, ბიბლიოთეკარი და ტექნიკური პერსონალი**. მათი წარმოდგენილი მოთხოვნები და საჭიროებები გათვალისწინებულია საბიუჯეტო პროცესში.

სკოლის შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც განსაზღვრულია მოსწავლეთა რაოდენობით. დამატებითი შემოსავლებია საბანკო დეპოზიტიდან მიღებული თანხები. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სასწავლო, ტექნიკურ და სპორტულ რესურსებს, ჰიგიენურ საშუალებებსა და სხვა საჭირო ინვენტარს. წარსულში (2020–2024 წლებში), სკოლის დროებით ფუნქციონირებას კერძო დაქირავებულ შენობებში ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა ქირის სახით, რაც დასრულდა შენობის რეაბილიტაციის შემდეგ 2024 წლის აგვისტოში. სკოლა იყენებს **SPA.ge-ის ელექტრონულ პლატფორმას** შესყიდვების გასატარებლად, ხოლო გეგმების დამტკიცება და ფინანსური დოკუმენტაციის გაცვლა ხდება **eFlow-ის სისტემის მეშვეობით**. შესყიდვების გეგმის შედგენა ხდება ბაზრის ანალიზისა და წინა წლების გამოცდილების საფუძველზე და ყოველწლიურად იმტკიცება **20 ნოემბრამდე**. დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით **ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს**, რაც ემსახურება სკოლის ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობას. ანგარიშგების სისწორე დადასტურებულია **საბანკო ამონაწერებით**, რაც გამორიცხავს შეცდომებს ან მიზნობრივი ხარჯვის დარღვევას. სკოლა ყოველწლიურად ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელიც ატარებს **ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას**, რაც ზრდის ფინანსური პროცესების კონტროლის ხარისხს. დამატებითი ფინანსური საჭიროებების შემთხვევაში, სკოლა

მიმართავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას მხარდაჭერისთვის (მაგ., ცენტრალური გათბობის ხარჯების ასანაზღაურებლად), რაც მიუთითებს რესურსების მართვის პროაქტიულობაზე და პასუხისმგებლობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებული 2024 წელი;
- სკოლის ბიუჯეტი კორექტირებული 2025 წელი;
- ფინანსური ანგარიშგება 2024 წელი;
- ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების წესის და ფორმის დამტკიცების შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- წერილი - დანაკლისის შესავსებად საჭირო თანხების მოთხოვნის შესახებ;
- დირექტორის წლიური ანგარიში 2024 წელი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, მათ თანაბარ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და სასწავლო გარემოში გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას. სკოლას გააჩნია **შინაგანაწესი**, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. დოკუმენტი ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მათი მშობლებისთვის. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება **სადამრიგებლო საათები**, სადაც მოსწავლეები ეცნობიან თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს, ხოლო მშობლებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ **მშობელთა კრებებზე**. სკოლაში მოქმედებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა**, რომელიც აირჩევა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. მისი თავმჯდომარე მონაწილეობს **სამეურვეო საბჭოს მუშაობაში**, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების წარდგენასა და დაცვას სკოლის მართვის პროცესში. ასევე, მოსწავლეები ჩართულნი არიან **დისციპლინარულ კომიტეტშიც**, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას. სკოლაში მოქმედებს **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება**, **სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი**, და **ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები**, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ მართვას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები მკაფიოდ გაწერილია: სკოლას ჰყავს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი**, რომელიც პასუხს აგებს მოსწავლეთა მონაცემების კონფიდენციალობაზე. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება მხოლოდ **მოსწავლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით**. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სკოლა ახორციელებს კანონით განსაზღვრულ ყველა ეტაპს: **სირთულეების იდენტიფიცირება, სტატუსის მინიჭება/მოხსნა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება**. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში, რისთვისაც თვითმმართველობის თავმჯდომარე წერილობით მიმართავს დირექტორს. მიღებული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საჯაროდ და პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს პასუხიმგებელი პირი, რომელიც **ყოველთვიურად გზავნის შესრულებული ღონისძიებების ანგარიშს eFlow სისტემის მეშვეობით**. სკოლაში ტარდება **მოსწავლეთა შეხვედრები**, რაც ხელს უწყობს პრევენციული ზომების დაგეგმვას, სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას და მონაწილეთა აქტიურ ჩართულობას. ქცევის წესების შემუშავება ხდება **მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობით**, რაც უზრუნველყოფს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ დისციპლინას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია განათლების ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის, რაც ეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობისა და ინდივიდუალური საჭიროებების დაფასების პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს **რესურს ოთახი**, რომელიც აღჭურვილია სასკოლო ინვენტარით. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით სკოლა არ ფლობს **სპეციალური მასწავლებლის პოზიციით დაკომპლექტებულ შტატს**, ერთი **სსსმ მოსწავლე** სწავლობს **ინდივიდუალური სასწავლო გეგმით**, რომელიც ითვალისწინებს მისი განვითარების თავისებურებებს. სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია და უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო სივრცეებზე. სკოლაში შექმნილია **საზიარო საგანმანათლებლო სივრცეები**, როგორიცაა კომპიუტერების ოთახი და ბიბლიოთეკა, სადაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ტექნოლოგიური რესურსები სასწავლო დავალებების შესრულებისთვის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და ინდივიდუალური მეცადინეობისათვის. მოსწავლეები მუდმივად ინფორმირებულნი არიან **სასკოლო პროექტების, კლუბების და სხვა აქტივობების შესახებ** — როგორც ზეპირად, ასევე სკოლის **ოფიციალურ Facebook გვერდზე**. სკოლის მიერ აღიარებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და ჩართულობის მნიშვნელობა სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის **შინაგანაწესი** განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, და ასევე გამოქვეყნებულია **სკოლის ვებსაიტზე**. მოსწავლეებსა და მშობლებს შინაგანაწესს აცნობს **კლასის დამრიგებელი** სასწავლო წლის დასაწყისში, ხოლო თავად გაცნობა ხორციელდება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით — საჭიროების შემთხვევაში **ვიზუალურ ან შემოქმედებით ფორმატშიც**.

სკოლას აქვს **მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის წესები**, ასევე **განაცხადი-საჩივრის განხილვის პროცედურა**. მოქმედებს **მშობლებთან ურთიერთობის დებულება** და **საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი**, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას. ყოველი მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს **ხელშეკრულებას**, რომელშიც დეტალურად გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც კიდევ უფრო ამყარებს ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სამთაწყაროს საჯარო სკოლა პრიორიტეტულად მოიაზრებს მოსწავლეთა **პირადი უფლებების დაცვას, უსაფრთხოებასა და სამართლიან მოპყრობას** როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სასწავლო პროცესში. სკოლაში მოქმედებს **შინაგანაწესი** და **ქცევის კოდექსი**, რომელიც დეტალურად არეგულირებს მოსწავლის უფლებებს, მოვალეობებს და ქცევის წესებს. **დისციპლინარული პროცედურები** განსაზღვრულია მკაფიოდ, რაც უზრუნველყოფს თანაბარი და სამართლიანი მიდგომის განხორციელებას მოსწავლეთა შორის. სასწავლო წლის დასაწყისში

ყველა მოსწავლეს აცნობებენ შინაგანაწესს. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და პრობლემები **ვერბალურად** — როგორც **დირექციასთან**, ისე **კლასის დამრიგებელთან** ან **საგნის მასწავლებელთან**, რაც აძლიერებს საჩივრის თავისუფალი გამოხატვის მექანიზმებს. **პირადი მონაცემების დაცვა** სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მოსწავლის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გადაცემა ხდება **მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესით**, ხოლო ფოტოგადაღებაზე თანხმობა ყოველთვის წინასწარ ითხოვება. მოსწავლეს, რომელიც უარს აცხადებს ფოტო ან ვიდეომასალის გავრცელებაზე, სკოლა სრულად უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილების პატივისცემას. სკოლა **იცავს რწმენის თავისუფლების პრინციპს**. სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე მოსწავლეები და მუშაობენ განსხვავებული რწმენის თანამშრომლებიც. ექსკურსიებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვისას **მშობელთა კრებაზე თანხმობით განისაზღვრება** ისეთი დეტალები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის რწმენის თავისუფლების დაცვას. მოსწავლეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და დოკუმენტური მექანიზმებით. სკოლა თითოეულ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს **ხელშეკრულებას**, რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის პრინციპები. ასევე, ყოველწლიურად ფორმდება **სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტი**, რაც აჩვენებს სკოლის პასუხისმგებლობას სასწავლო რესურსების მიზნობრივი განაწილებისა და აღრიცხვის მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ბიბლიოთეკის ქცევის წესები;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- შინაგანაწესი;
- მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება;
- მიღება-ჩაბარების აქტი სკოლა -მშობელი (სახელმძღვანელოები);
- უსაფრთხოებაზე პასუხიმგებლი პირის ერთი თვის ანგარიში;
- უსაფრთხოებაზე პასუხიმგებლი პირის პირველი სემესტრის ანგარიში;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში მკაფიოდ განსაზღვრულია **მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და კლასიდან-კლასში გადაყვანის პროცედურები**, რაც ემყარება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პროცესების სამართლებრივ სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და თანაბარ მიდგომას. სკოლას აქვს დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს: მოსწავლის **პირველ კლასში ჩარიცხვის წესს**, რეგისტრაციის ეტაპებსა და საჭირო დოკუმენტებს; მოსწავლის **მობილობის პროცედურებს** (მათ შორის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე); **სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესებს**; კლასიდან კლასში გადაყვანის და საფეხურის დაძლევის წესს. პირველ ეტაპზე რეგისტრაცია ეთმობა **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს**, რომელთა ადგილიც განისაზღვრება **მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე**. რეგისტრაცია ხორციელდება **ელექტრონულად**, ხოლო ყველა ბრძანება (ჩარიცხვა, სტატუსის ცვლილება, მობილობა) დროულად აისახება **eFlow-ისა და eSchool-ის სისტემებში**. მოსწავლის პროგრესი, საფეხურის დაძლევა და კლასიდან კლასში გადასვლის მონაცემები ასახულია **სასწავლო გეგმაში**, რომლის გაცნობა მშობელს შეუძლია **ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით**. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს არ აქვს წვდომა ციფრულ სისტემებთან, **დამრიგებელი ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას**. სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც **გაუვლია მანდატურის სამსახურის შესაბამისი ტრენინგი** და პასუხისმგებელია იმ შემთხვევებზე, როცა მოსწავლის უფლებების დარღვევა ხდება მშობლის ან სხვა პირის მხრიდან. სკოლა უზრუნველყოფს ყველა პროცედურის გამჭვირვალედ, დადგენილ ვადებში და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, საფეხურის დაძლევისა და ექსტერნატის გამოცდების ჩატარების მექანიზმების **კანონმდებლობით დადგენილი წესის მკაცრ დაცვას**. მოსწავლის

ჩარიცხვა სკოლაში ხდება **მშობლის განაცხადის საფუძველზე**, ხოლო ბრძანებებს სკოლის დირექტორი გასცემს ოფიციალურად, დირექტორის ხელმოწერით. ყველა ბრძანება რეგისტრირდება ელექტრონულ სისტემებში — **eFlow-სა და eSchool-ში**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და სამართლებრივ სიზუსტეს. მოსწავლის **საფეხურის დაძლევა და კლასიდან კლასში გადაყვანა** განიხილება **პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე**, რომლის შესახებაც იწერება ოფიციალური ოქმი. **ბრძანებები და ოქმები ინახება შესაბამისი წესის დაცვით**. სკოლა იყენებს **ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს** მოსწავლის შეფასების, პროგრესის და ექსტერნატის პირობებისათვის: მოსწავლეებს, რომლებსაც საგანში წლიური ქულა აქვთ 5-ზე ნაკლები, ენიშნებათ **საშემოდგომო გამოცდა**; იმ მოსწავლეებს, ვინც წლის განმავლობაში გააცდინა საგნისთვის დათმობილი საათების 30%-ზე მეტი, ენიშნებათ **მიღწევის დონის დადასტურება ექსტერნატის ფორმით**. ამჟამად სკოლაში მე-12 კლასში ირიცხება 11 მოსწავლე, მათგან 8 ჩაირიცხა **ექსტერნატის გამოცდების საფუძველზე**, ხოლო 3 მოსწავლეს აღუდგა **ადრე შეჩერებული სტატუსი**, რაც მეტყველებს სკოლის მიერ ადმინისტრაციული და აკადემიური მექანიზმების მიზნობრივად და თანასწორად გამოყენებაზე. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩარიცხვა** ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც სკოლა იღებს შესაბამის ზომებს მათ სრულფასოვან ინტეგრაციაზე სასწავლო პროცესში. რეგისტრაციისა და შეფასების პროცედურები სრულად ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. **მშობლებთან იდება ხელშეკრულება ჩარიცხვის პროცესში**, სადაც გაწერილია ორივე მხარის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. სკოლა ეფექტიანად მართავს მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებულ ყველა პროცესს, უზრუნველყოფს თანაბარ და სამართლიან მიდგომას და ახორციელებს საგანმანათლებლო პოლიტიკის იმპლემენტაციას მაღალი ადმინისტრაციული სტანდარტებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სერვისების გამჭვირვალე ადმინისტრირებას და ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს **მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებს, მათი განხორციელების სპეციფიკას, საფასურებს, შიდა პოლიტიკასა და მოსწავლის ქცევის წესებს**. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა **კლუბებსა და წრეებს უფასოდ**, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით. მოსწავლეები თავად ირჩევენ მათთვის საინტერესო მიმართულებებს, ხოლო **ინფორმაცია კლუბებისა და წრეების შესახებ ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო დოკუმენტაციაში, ასევე ფეისბუქ გვერდზე**, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ფოტომასალა მათი აქტივობებიდან.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა **სემესტრული ნიშნის გამოსწორების სამართლებრივ მექანიზმებს**, რაც ხორციელდება **მშობლის წერილობითი განცხადებისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე**. მნიშვნელოვანია, რომ სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიული განათლების დაწესებულებებთან. 2025 წლის მარტში სკოლამ გააფორმა **მემორანდუმი კოლეჯ „აისთან“**, რის შედეგადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ პრაქტიკულ კურსებს და აიღონ სერტიფიკატები, რომლებიც თავსებადია პროფესიულ განათლებასთან. ამჟამად ინერგება **IT ტექნოლოგიებისა და დეკორატიული ქსოვილების ხელოვნების** პროგრამები, ხოლო 2023 წელს კოლეჯმა ასევე განახორციელა **„სტილისტის“ ორი თვიანი კურსი**, რომელიც მოზიდული იყო მაღალი მოსწავლეობრივი ინტერესით.

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ქმნის მრავალფეროვან და მოქნილ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები, როგორც აკადემიური, ისე პროფესიული მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სერვისების გამჭვირვალე ადმინისტრირებას და ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა დეტალურად ასახავს **მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებს, მათი განხორციელების სპეციფიკას, საფასურებს, შიდა პოლიტიკასა და მოსწავლის ქცევის წესებს**. სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისთვის და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული მომსახურებების ფართო სპექტრს. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს **უფასო კლუბებსა და წრეებს**, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასთვის, მიუხედავად სტატუსისა. თითოეულ კლუბს აქვს საკუთარი **დებულება, პროგრამა, მიზნები და განრიგი**, რაც უზრუნველყოფს აქტივობების გამჭვირვალე და ორგანიზებულ წარმართვას. მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ამ სერვისების შესახებ როგორც პირისპირ კომუნიკაციის, ასევე სკოლის ოფიციალური ფეისბუქისა და ვებგვერდის საშუალებით. სკოლას ჰყავს **ბრძანებით განსაზღვრული პირი**, რომელიც პასუხისმგებელია ამ არხებზე ინფორმაციის გადამოწმებულად და კანონთან შესაბამისობაში გამოქვეყნებაზე. მეორე უცხო ენის არჩევის პროცესი განხორციელდა **მშობელთა კრების ფარგლებში** — დამრიგებელმა გააცნო მშობლებს შესაძლო ვარიანტები, მოსაზრებები შეჯერდა და შედეგი დაფიქსირდა **ოქმით**, რომელსაც ხელი მოაწერეს კლასის დამრიგებელმა და სკოლის დირექტორმა. ეს პროცესი სრულად შეესაბამება გამჭვირვალობის პრინციპებს და ითვალისწინებს მშობელთა ჩართულობას. სამთაწყაროს საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **სემესტრული ქულის გამოსწორების, ექსტერნატის წესით კლასის დაძლევის და საშემოდგომო გამოცდის** შესაძლებლობებს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს. აღნიშნული პროცესები ხორციელდება **მშობლის წერილობითი განაცხადისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე**.

გარდა ამისა, სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან. გაფორმებულია **მემორანდუმი კოლეჯ „აისთან“**, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაეუფლონ პრაქტიკულ უნარებს და მიიღონ სერტიფიკატები. ინერგება ისეთი მიმართულებები, როგორიცაა **IT ტექნოლოგიები** და **დეკორატიული ქსოვილების ხელოვნება**. 2023 წელს განხორციელდა პოპულარული „სტილისტის კურსი“, რომელშიც მონაწილეობა განსაკუთრებით დიდი იყო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი-სკოლა-კოლეჯი ,,აისი ,,გადამზადების პროგრამა;
- ბრძანება პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
- მობილობის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ;
- ეკოკლუბის წესდება;
- ოქმი N 1 მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება;
- ბრძანება კლასის დაძლევის შესახებ;
- ექსტერნი გამოცდის ბრძანება;
- ექსტენი მოსწავლეების ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის სტატუსის აღდგენის ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სამთაწყაროს საჯარო სკოლას გააჩნია შემუშავებული **მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი**, რომელიც მოიცავს ადაპტაციის ეტაპებსა და დახმარების მექანიზმებს მოსწავლის სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. წესში დეტალურად არის გაწერილი **სასკოლო ცხოვრების დასაწყისში ან სხვა სკოლიდან გადმოსვლის შემთხვევაში** განსახორციელებელი ღონისძიებები. პირველკლასელთა ადაპტაციისთვის სკოლა პირველ სასწავლო დღეს **მართავს საზეიმო შეხვედრას**, რომელშიც მონაწილეობენ დირექცია, პედაგოგები და მოსწავლეები. ბავშვებს გადაეცემათ ბუქები, მასწავლებელი აცნობს მათ სკოლის გარემოს, კლასელებს და სამომავლო სასწავლო პროცესს. აღნიშნული ღონისძიება ამარტივებს სკოლის სივრცესა და როლებზე ორიენტირებას, ამაღლებს მოტივაციას და ამყარებს პოზიტიურ ემოციას. **მობილობით გადმოსული მოსწავლეების** ინტეგრაციის პროცესში სკოლა აწყობს **შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან**, აწვდის სრულ ინფორმაციას სასწავლო პროცესზე, სკოლის წესებზე, გარემოზე და საგაკვეთილო მუშაობის თავისებურებებზე. **დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული ადაპტაციის პროცესში**, მათ შორის ემოციური მხარდაჭერისა და სასწავლო უნარების დონის გათვალისწინებით. სკოლა თანამშრომლობს **ბაგა-ბაღთან**, რაც ამარტივებს ტრანზიციას სკოლამდელი აღზრდიდან ფორმალურ განათლებაში და ხელს უწყობს პირველკლასელთა ინტეგრაციის პროცესს. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ადაპტაციის მექანიზმები ვრცელდება **სამივე საფეხურზე**, მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და კომფორტულ ფიზიკურ გარემოს. პირველკლასელები უზრუნველყოფილი არიან ასაკის შესაბამისი მერხებითა და სკამებით, რაც შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი კლასები განათებულია ბუნებრივი განათებით, ხოლო შენობა თბება **ცენტრალური გათბობის სისტემით (გაზზე)**. სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდება სტაბილურია; სკოლას გააჩნია **ორი ათტონიანი წყლის რეზერვუარი** და ცხელი წყლის დანადგარები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ფუნქციონირებენ. სკოლის შენობა **ადაპტირებულია** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის – გარე შესასვლელი აღჭურვილია ლიფტით, ხოლო შიდა სივრცეებში

მოწყობილია მოძრავი კიბის პლიფტები. პირველი სართული განლაგებულია **ადაპტირებული საპირფარეშოებითა** და **რესურსოთახით**, რომელიც ამჟამად აღჭურვილია ავეჯით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, **საგნის პედაგოგები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაბამისად** მუშაობენ სსსმ მოსწავლესთან. სკოლა აგრძელებს ფიზიკური გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის – რესურსოთახის გამართულად ამოქმედებისა და ცხელი წყლის სისტემების სრულყოფილი გამოყენების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ახორციელებს ღონისძიებებს მოსწავლეთა მიღწევებისა და ინდივიდუალური პროგრესის ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლები ჩართულნი იყვნენ „USAID“-ის დაწყებითი განათლების კითხვისა და მათემატიკის პროგრამაში, რის შედეგადაც მიღებული ცოდნა გადმოიტანეს საკლასო პრაქტიკაში, რაც მოსწავლეთა აკადემიური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორია. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სხვადასხვა ტიპის **საკონსულტაციო სესიებს** სწავლაში არსებული სირთულეების დასაძლევად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა **საგნის მასწავლებლის** მიერ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. აღნიშნული მხარდაჭერა, მიუხედავად სპეციალური მასწავლებლის არარსებობისა, უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია **რემედიაციული პროგრამების დანერგვა**, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლების სისტემას. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების მონაწილეობას საგნობრივ ოლიმპიადებში და უზრუნველყოფს მათთვის საჭირო ტექნიკურ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის გაგრძელების ხელშეწყობას. სკოლა ინფორმირებას უწევს მოსწავლეებს ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესისა და ვადების შესახებ. გამოცდებამდე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები შესაბამის საგნებში, რისთვისაც სკოლა ადგენს განრიგს და ავრცელებს მას სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლა განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ორგანიზებულად წარმართვას. მაგალითად, მე-12 კლასში რეგისტრირებული მოსწავლეებიდან ნაწილმა **შეჩერებული სტატუსი წარმატებით აღიდგინა**, ხოლო ნაწილმა **წარმატებით ჩააბარა ექსტერნის გამოცდები** და განაგრძო სწავლა სკოლაში. აღნიშნული პრაქტიკა მოწმობს, რომ სკოლა ეფექტიანად იყენებს კანონით

გათვალისწინებულ მექანიზმებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში დასაბრუნებლად და სწავლის შეუფერხებლად გასაგრძელებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და მათ ინტერესებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გამოცდილებების გამრავალფეროვნებას. სკოლაში მოქმედებს ეკოკლუბი და ნორჩ მკითხველთა წრე, რომლებიც მოსწავლეთა ინიციატივების საფუძველზე შეიქმნა. კლუბები ფუნქციონირებს მოხალისეობის პრინციპით და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის მიმდინარეობს პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსები, მათ შორის – „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ და „ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში“. პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ, მოსწავლეები იღებენ კოლეჯ „აისის“ მიერ გაცემულ სერტიფიკატებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც ემსახურება ადგილობრივი ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას. პროექტის – „მეწარმეობის განვითარება ძლიერი სოფლის საწინდარია“ – ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს კაკლის გადამამუშავებელი საწარმო და ტრადიციული სამჭედლო, რითაც ხელი შეეწყო მათ პრაქტიკულ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას. სკოლის დირექცია და მასწავლებლები აქტიურად უჭერენ მხარს არაფორმალური განათლების ფორმატში დაგეგმილ ინიციატივებს, რაც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის პრაქტიკულ მაგალითს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა ფორმით: რეგულარული მშობელთა კრებების, ინდივიდუალური განცხადებების, ასევე ონლაინ ჟურნლის მეშვეობით. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესებას. მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობა განსაკუთრებით გაიზარდა სკოლის ინფრასტრუქტურული განახლების შემდეგ, რაც მოწმობს მათ მზარდ ინტერესსა და ნდობას სასკოლო გარემოს მიმართ. უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გეგმავს უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერებას, მათ შორის მრავალფეროვანი კითხვარების შემუშავებასა და მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც გააადვილებს მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზს. სკოლის ადმინისტრაციის

მხრიდან არსებობს ხედვა უკუკავშირის სისტემის მუდმივი განვითარებისა, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოს გამჭვირვალობასა და მოსწავლეზე ორიენტირებული მმართველობის განხორციელებას. უკუკავშირის შედეგები გამოიყენება სტრატეგიული გეგმის და სკოლის მისიის ჩამოყალიბების პროცესშიც, რაც მიუთითებს აღნიშნული პრაქტიკის მნიშვნელობაზე სასკოლო მართვაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.;
- ექსტერნი გამოცდის ბრძანება;
- ექსტენი მოსწავლეების ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის სტატუსის აღდგენის ბრძანება;
- ბრძანება N 2-134 - I -XI კლასის ექსტერნატის გამოცდის შედეგების დამტკიცების შესახებ;
- პროექტი: "საბრძოლო იარაღის სამჭედლო";
- პროექტი- მეწარმეობის განვითარება ძლიერი სოფლის საწინდარია.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა სისტემატურად ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. 2015–2018 წლებში პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები ტარდებოდა სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით მიზნობრივ საქმიანობაზე. ბოლო წლების განმავლობაში სკოლამ გააფართოვა თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯებთან. 2023 წელს კოლეჯ "აისთან" თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ორ თვიანი "სტილისტის კურსი", რაც პრაქტიკული გამოცდილების გადაცემის ეფექტური მაგალითია. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს მიეცათ საშუალება შეემუშავებინათ საკუთარი უნარები და გაეღრმავებინათ ცოდნა პროფესიულ სფეროში. ამჟამად კოლეჯთან თანამშრომლობა გრძელდება მემორანდუმის საფუძველზე, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობისა და განვითარებული შესაძლებლობების გამოყენების შანსს. სკოლის

ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებსა და უნარებზე მორგებულ მრავალფეროვან შესაძლებლობებზე, რაც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულ პროფესიულ არჩევანს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას სხვადასხვა ფორმით. სკოლა სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეთა საგანმანათლებლო ვიზიტებს პროფესიული გარემოს გაცნობის მიზნით. ეკოკლუბის ინიციატივით მოსწავლეები ეწვივნენ სოფლის ექიმს, რაც მათ საშუალებას აძლევს რეალურად გაეცნონ მედიცინის სფეროს პრაქტიკულ მხარეს. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მათ ვიზიტებს სოფლის მცირე საწარმოებში – კაკლის გადამამუშავებელ საწარმოში, სამჭედლოში და ფერმებში. აღნიშნული ვიზიტები ავითარებს მოსწავლეთა წარმოდგენას სხვადასხვა პროფესიის შინაარსზე და აღძრავს ინტერესს მათ მიმართ. გარდა ამისა, სკოლა გეგმავს თავდაცვის აკადემიის წარმომადგენელთა მოწვევას, რაც მოსწავლეებს მისცემს სამხედრო პროფესიების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს აბიტურიენტებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებისა და პირობების გაცნობას, მათ შორის ღია კარის დღეებში მონაწილეობის ხელშეწყობას. აღნიშნული ღონისძიებები ამაღლებს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და ეხმარება მათ სწორი პროფესიული გზის არჩევაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის მიდგომა კურსდამთავრებულებთან უკუკავშირის მოპოვების კუთხით პროაქტიული და მრავალფეროვანია, რაც ხელს უწყობს პროფესიული ორიენტაციის პროგრამების გაუმჯობესებას და მოსწავლეების ინფორმირებულ არჩევანს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი-სკოლა-კოლეჯი ,,აისი ,,გადამზადების პროგრამა;
- 10 გლობალური პრობლემა, რომელიც შესაძლოა თანამედროვე ტექნოლოგიებმა გადაჭრას;
- „ჯანსაღი ცხოვრების წესი“. შეხვედრა სოფლის ცნობილ მოჭიდავესთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა. სკოლა ეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რაც მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა და აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლესთან მუშაობა მიმდინარეობს საგნის პედაგოგების მონაწილეობით, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით და მომავლისთვის განსაზღვრულია მისი სრულფასოვანი ამუშავება სპეციალური მასწავლებლის თანადასწრებით. სასკოლო საზოგადოება – მასწავლებლები, ადმინისტრაცია და მშობლები – აქტიურად არიან ჩართული მოსწავლის განათლების პროცესში. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის უსაფრთხო და მორგებულ გარემოს, მიმდინარეობს ინკლუზიური პროცესების მონიტორინგი, რაც ამცირებს არასათანადო მხარდაჭერის რისკებს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ხარისხიან განათლებასა და სკოლაში სრულფასოვან ინტეგრაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს. ამჟამად სკოლაში სწავლობს ერთი სსსმ მოსწავლე, რომლისათვისაც შექმნილია ადაპტირებული გარემო და შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მოსწავლის სასწავლო და სოციალური ინტეგრაცია ხორციელდება მასწავლებელთა, სპეციალური მასწავლებლისა და კლასის დამრიგებლის მჭიდრო თანამშრომლობით.

სსსმ მოსწავლე სრულფასოვნად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესებში და სკოლის ცხოვრების სხვა მიმართულებებში, მათ შორის სპორტულ აქტივობებსა და ექსკურსიებში. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია, ხოლო რესურს ოთახი აღჭურვილია საჭირო ავეჯით, რაც მომდევნო ეტაპზე უნდა განმტკიცდეს სასწავლო რესურსებით სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას. მათ რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლის აკადემიურ წინსვლასა და საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ სკოლა ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ინკლუზიური განათლების შესახებ – მათ შორის, 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საინფორმაციო-პრეზენტაციული ღონისძიებები. სკოლა აკეთებს მაქსიმუმს არსებული რესურსებით სსსმ მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მუდმივი კონტროლი და გაუმჯობესება, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს არსებულ გამოწვევებს და მზადაა განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- ისგ გეგმები;
- მონიტორინგის შიდა ჯგუფის დასკვნა;
- დაუნის სინდრომის საერთაშორისი დღე.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ექსკურსიების ორგანიზებას, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ექსკურსიებში მოსწავლეთა მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის და გათვალისწინებულია როგორც უსაფრთხოების ზომები, ასევე მარშრუტის შერჩევის საგანმანათლებლო პრინციპები. მშობლები წინასწარ ეცნობიან ექსკურსიის გეგმას, ხოლო კლასის დამრიგებელი წარმოადგენს შესაბამის განცხადებას სკოლის დირექტორის სახელზე, რაც საფუძველს აძლევს ადმინისტრაციას ოფიციალური ბრძანების გაცემას. მძღოლი, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას, წარადგენს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, რაც განაპირობებს ტრანსპორტირების უსაფრთხო ორგანიზებას. კვების სერვისს ექსკურსიის დროს უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მშობლები. რაც შეეხება სხვა მომსახურებებს – სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი დამატებითი სერვისები, როგორიცაა გახანგრძლივებული სწავლება, კვება, ტრანსპორტირება ან საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სკოლა ახლახან გადავიდა რეაბილიტირებულ შენობაში და პროცესი ეტაპობრივად ვითარდება. თუმცა ყველა არასავალდებულო სერვისის განხორციელება ხორციელდება მშობლების, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოსა და რეგულატორების შეთანხმებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს დამატებითი, არასავალდებულო სერვისების შეთავაზებას ნებაყოფლობითობის პრინციპით. აღნიშნული სერვისები, მათ შორის ხელოვნებისა და სპორტის წრეები – ხატვა, მუსიკა, ცეკვა, ჭადრაკი, ჭიდაობა, ტენისი და საფეხბურთო გუნდი – ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკურ, შემოქმედებით, ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას. დამატებითი აქტივობების განხორციელება ხორციელდება სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოსთან შეთანხმებით და ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ სპორტულ და კულტურულ აქტივობებში, არამედ ჩაერთონ პროფესიულ ორიენტაციაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსკლასელებისთვის. დაგეგმილია ციფრული ტექნოლოგიების კურსების შეთავაზება, რაც მოსწავლეებს დაეხმარება თანამედროვე უნარების განვითარებაში. სკოლის მიდგომა ინოვაციური და გრძელვადიანია – ის ქმნის შესაძლებლობებით სავსე სივრცეს, რომელიც ემსახურება მოსწავლის სრულყოფილ განვითარებას, მათ ინტერესებზე მორგებული განათლების მიღებასა და მომავალი კარიერის დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სამთაწყაროს საჯარო სკოლა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში პრიორიტეტულად ითვალისწინებს მოსწავლეთა კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას. სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივი და მშობლები ერთობლივად ზრუნავენ, რომ ყველა ღონისძიება და აქტივობა მიმდინარეობდეს დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვით. როგორც სასწავლო პროცესის, ისე არაფორმალური აქტივობების დროს, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მონაწილეობის უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ბოლო ზარის ღონისძიების დროს სკოლა თანამშრომლობს სამართალდამცავ სტრუქტურებთან, რაც დამატებით უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებას. სკოლის პრაქტიკა სრულად პასუხობს ბავშვთა უფლებების დაცვის, კეთილდღეობის და მათი საუკეთესო ინტერესების პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულება;
- პროექტი: "საბრძოლო იარაღის სამჭედლო";
- პროექტი- მეწარმეობის განვითარება ძლიერი სოფლის საწინდარია;
- სკოლის შიდა რეფერალი .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი მრავალფუნქციური და ინკლუზიურია, რაც უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების ყველა წევრის – მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის – პოზიციებისა და ინტერესების გათვალისწინებას. აღნიშნული მიდგომა დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, რომელიც განსაკუთრებით გამოყოფს დაწყებითი საფეხურის თავისებურებებს. I–VI კლასებისთვის პრიორიტეტულია ცოდნის სამი ძირითადი ფორმის განვითარება: დეკლარატიული (ფაქტობრივი ცოდნა), პროცედურული (უნარების გამოყენება) და პირობითი (კონტექსტზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება). სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები ინტენსიურად მუშაობენ კურიკულუმის

მოსამზადებლად. პროცესის საწყის ეტაპზე ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება როგორც ეროვნული მოთხოვნებს, ისე სკოლის მისწრაფებებს. სწავლების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები – დაწყებით საფეხურზე უპირატესობა ენიჭება თამაშზე დაფუძნებულ სწავლას, ხოლო უფროს კლასებში – პრაქტიკულ დავალებებს. სასწავლო აქტივობები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც კლასგარეშე ღონისძიებებსა და პროექტებს, ასევე საველე გასვლებს, რომელთა განხორციელება ხშირად ხდება სოფელ სამთაწყაროს ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლების გამოყენებით. კურიკულუმი ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს, როგორებიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება და დიფერენცირებული ინსტრუქცია, რაც პედაგოგებს აძლევს საშუალებას შექმნან კომპლექსური, ინტერდისციპლინური დავალებები. მაგალითად, ერთდროულად შეიძლება შეიქმნას დავალება, რომელიც აერთიანებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, მათემატიკას, ქართულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. დავალებების დაგეგმვისას სკოლა აფასებს პოტენციურ სირთულეებს – მაგალითად, რესურსების ნაკლებობას – და წინასწარ განსაზღვრავს გადაჭრის გზებს. საგნობრივი კათედრები ამზადებენ შემაჯამებელ დავალებებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ საფეხურსა და მიზნებს – მაგალითად, მეორე-მესამე კლასის მოსწავლეებისთვის შექმნილი დავალებები ორიენტირებულია წაკითხულის გააზრებასა და საბაზისო მათემატიკურ უნარებზე. ამასთან, სკოლა ადგენს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რომლებიც იყოფა განმსაზღვრელ და განმავითარებელ კატეგორიებად. ახალი სკოლის მოდელის დანერგვის შემდეგ, სამივე საფეხურის პედაგოგებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები საგნობრივ ექსპერტებთან, რის შედეგადაც ტრადიციული თემატურ-კალენდარული გეგმები ჩანაცვლდა მოდულურ და მოქნილ სტრუქტურებზე დაფუძნებული კურიკულუმით. მასწავლებლები ქმნიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობილ მატრიცებს (მაგ. „პასუხისმგებლობა“, „თანამშრომლობა“), რომლებიც ინტეგრირდება სხვადასხვა საგანში. თემატური ბლოკების შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივი სპეციფიკა – მაგალითად, აგრარულ თემებზე ფოკუსი სოფლის სკოლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა მეტწილად ფორმალურ ფორმატში (მშობელთა კრებები, სამეურვეო საბჭო) შემოიფარგლება, სკოლის მიზანია გაზარდოს მათი მონაწილეობა. ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ოფიციალური დოკუმენტაციის შექმნა და მისი ინტეგრაცია სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ხაზგასმულია **მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესები**, როგორიცაა ინფორმაციის გაზიარება მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, ასევე უკუკავშირის მიღების მექანიზმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია **პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება** დავალებების შექმნისას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და ცოდნის ეფექტურ ათვისებას. ასევე, მნიშვნელოვანია **მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება** ძლიერი მხარეების გაღრმავებისა და სუსტი მხარეების გაძლიერების მიზნით. გამოწვევის სახით წარმოდგენილია ის, რომ კურიკულუმი სრულად ვერ ასახავს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს, თუმცა, სკოლის რეაგირება ამ გამოწვევაზე – მისიისა და ხედვის

რევიზია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით – აჩვენებს სკოლის **პროგრესულობასა და განვითარებაზე ორიენტაციას**. 2025-2026 წლის კურიკულუმში ახალი ფოკუსის (თანამშრომლობა და გარემოსდაცვითი განათლება) ასახვა მიუთითებს **ადაპტაციისა და მუდმივი გაუმჯობესების სურვილზე**. საერთო ჯამში, დოკუმენტი წარმოაჩენს სკოლას, რომელიც ცდილობს შექმნას მრავალფეროვანი, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას შემუშავებული აქვს **კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია**, რომელიც დეტალურად აღწერს პროცესის ყველა ეტაპს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ ავტორიზაციის სტანდარტები იყოს დაცული და ამავდროულად, სკოლამ შეძლოს სასკოლო საზოგადოების ფართო ინტერესების გათვალისწინება. მაგალითად, თუ მშობლები კულტურული ღონისძიებების გაზრდას მოითხოვენ, მეთოდოლოგია იძლევა სახელმძღვანელოს, თუ როგორ უნდა აისახოს ეს მოთხოვნა კურიკულუმში – შესაძლოა, თეატრალური წარმოდგენის სახით, რომელიც სამთაწყაროს ისტორიას გააცოცხლებს. ჩართულობის გაზრდის გზით, სკოლა ცდილობს, კურიკულუმი გადააქციოს არა მხოლოდ სასწავლო გეგმად, არამედ **საზოგადოების თანამშრომლობის ინსტრუმენტად**, რომელიც სრულად ასახავს სკოლის ღირებულებებსა და მიზნებს. სამთაწყაროს საჯარო სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების აღწერილი მიდგომა **ძალიან პოზიტიურად არის შეფასებული**. ეს მიდგომა უზრუნველყოფს **სრულ გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობას** სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- **მრავალმხრივი ჩართულობა:** მშობლებისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმი რეალურად ასახავდეს მათ საჭიროებებსა და სურვილებს. ეს ზრდის კურიკულუმის მიმართ ნდობას და ხელს უწყობს მის ეფექტურ განხორციელებას.
- **სტრუქტურირებული მეთოდოლოგია:** კურიკულუმის შექმნის მკაფიო მეთოდოლოგიის არსებობა, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას, მეტ სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას ანიჭებს პროცესს. ეს ასევე ხელს უწყობს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.
- **ადაპტაციისა და განვითარების უნარი:** მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს (მაგალითად, კულტურული ღონისძიებების დამატება), აჩვენებს სკოლის მზაობას, იყოს მოქნილი და ადაპტირებული ცვალებად საჭიროებებთან.
- **მიკუთვნებულობის გრძნობის გაძლიერება:** კურიკულუმის, როგორც "საზოგადოების თანამშრომლობის ინსტრუმენტის" აღქმა, მნიშვნელოვნად აძლიერებს სასკოლო საზოგადოებაში მიკუთვნებულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. როდესაც ყველა მხარე გრძნობს, რომ მათი აზრი გათვალისწინებულია, იზრდება მოტივაცია და ერთობლივი მუშაობის სურვილი.

მთლიანობაში, სამთაწყაროს საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მოდელი კარგად ასახავს თანამედროვე განათლების პრინციპებს, რომლებიც ორიენტირებულია ინკლუზიურობაზე, გამჭვირვალობასა და მუდმივ განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სამთაწყაროს საჯარო სკოლას აქვს **მკაფიო და ეფექტური სისტემა** კურიკულუმის ხელმისაწვდომობისა და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის.

- **მრავალმხრივი ხელმისაწვდომობა:** კურიკულუმის ფიზიკური განთავსება სკოლის სხვადასხვა სივრცეში, ისევე როგორც ონლაინ და პირისპირ კომუნიკაციის არხების გამოყენება, უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ადვილად მისაწვდომი იყოს ყველასთვის.
- **პროაქტიული კომუნიკაცია:** მასწავლებლების მიერ კლასის საათებზე წლის გეგმების განმარტება და სამეურვეო საბჭოს/მშობელთა კრებებზე დეტალური განხილვა აჩვენებს, რომ სკოლა აქტიურად ცდილობს ინფორმაციის მიწოდებას, ნაცვლად მხოლოდ მის ხელმისაწვდომად დატოვებისა.
- **უკუკავშირის მექანიზმები:** მშობელთა გამოკითხვა კმაყოფილების შესაფასებლად არის **გასაღები** კურიკულუმის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. ეს მიუთითებს სკოლის მზაობაზე, იყოს ანგარიშვალდებული და მოუსმინოს საზოგადოებას.
- **მიკუთვნებულობის გაძლიერება:** სოციალური გვერდების აქტიური გამოყენება და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ინფორმაციის გასაზიარებლად, მათ შორის ფოტოების მეშვეობით, ქმნის უფრო მეტ ერთიანობისა და ჩართულობის განცდას.

საბოლოო ჯამში, აღწერილი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოება იყოს არა მხოლოდ **ინფორმირებული, არამედ აქტიურად ჩართული** კურიკულუმის განვითარებაში. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლის, როგორც **თანამშრომლობითი და დინამიური სივრცის** გაძლიერებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პროექტი ,,ლაბირინთი“;

- პროექტი , წერეთ კოდი ანასა და ელზასთან ერთად;
- ბრძანება N 2-38 სკოლის ფეისბუქ გვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N 2-38 საინფორმაციო პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

- სასკოლო პროექტი„მინერალები“;
- კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის;
- პროექტი: „ქართველ მწერალთა სურათები ეთერის სკოლისათვის“;
- სოციალური პროექტი - ,, სიკეთე მზის შუქსა ჰგავს“;
- პასუხისმგებლობის და თანამშრომლობის მატრიცა;
- დავალება: „მაღაზიის თავგადასავალი“-2-3 კლ. ;
- პროექტი - ,, დედამიწა ჩვენი სახლია” ;
- ინტეგრირებული სასკოლო პროექტი – „ზღვა ერთი წვეთით იწყება“;
- პროექტი "ციფრთა ქვეყანა" .

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზისას ცხადია დოკუმენტი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საფუძველს, პროცესს და კონკრეტულ მიდგომებს. ჩანს ითვალისწინებენ ინდივიდუალური განსხვავებებს, რათა სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესებზე იყოს მორგებული და იკვეთება სწავლა-სწავლების მიზანმიმართული განვითარება. სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს პედაგოგების მიერ სტანდარტის შესაბამისი დაგეგმვის უნარი. რჩევა: კონკრეტულად აისახოს სამივე საფეხურზე სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს და სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.
უცხოური ენები	სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საფეხურების მიხედვით. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი საგნობრივი კურიკულუმის შესწავლის და ანალიზის დროს გამოვლინდა, მუსიკის საგანში შექმნილი საგნობრივი კურიკულუმში ასახულია მოსწავლის განვითარების გზა, მაგრამ საგნობრივი კურიკულუმში მიუხედავად იმისა რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები და შესაძლებლობები, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დარღვეულია და არ არის სწორად ფორმულირებული, მასწავლებელთა ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ სკოლაში ამ ეტაპზე ხელოვნებას და მუსიკას

	არაკვალიფიციური კადრები ასწავლიან, საათები სკოლის შიგნით გადანაწილებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლებზე და შესაბამისად ისინი ვერ მოახერხებდნენ საგნის სტანდარტის და კონცეპტუალური საკითხების გააზრებას და გათვალისწინებას. მუსიკის საგანში შექმნილი საგნობრივი კურიკულუმი ამ ეტაპისავის მეტნაკლებად სტრუქტურირებულია მცირე გამონაკლისების გარდა. მიუხედავად ამისა სკოლას ქონდა დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია სადაც ჩანს როგორ არიან ჩართული ამ საგნების სწავლების პრინციპით სხვადასხვა აქტივობებში და ასრულებენ დავალებებს, თავიანთი ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაგრამ ეს არ არის იმის საფუძველი რომ საფეხურის ფარგლებში მიღწეულია შედეგი, შემუშავებული კურიკულუმები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში არ ასახავს ამ განვითარების გზას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის კურიკულუმი სამივე საფეხურზე, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. დავალებების შერჩევისას, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. დავალებები მოიცავს მოსწავლის

	რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, გარდა ამისა სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური სწავლების პრინციპები, წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, **რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;** **ინდიკატორი შეესაბამება** რჩევა: მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის პედაგოგების მიერ თანამშრომლობით. კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებას, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მასშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, აგრეთვე პედაგოგთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები- შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. კურიკულუმის ჩარჩოებში დამატებით, ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან პირდაპირი კავშირი, საბოლოო მიზანთან შესაბამისობასა და სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმი ასახავს ეროვნულ პრიორიტეტებს, ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებს, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკურ და ტრანსფერულ უნარებს. ყველა სამიზნე ცნების შესაბამისად ააქვთ შერჩეული შუალედური მიზნები. **რჩევა:** კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნული დოკუმენტებთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე, როგორც დაწყებით საფრხურზე, ასევე საბაზო-საშუალოზე. მაგ: 11 და 12 კლასში მოხდეს დავალებათა გამიჯვნა ბიოლოგიაში. საშუალო კურიკულუმებში ჩანდეს ის აქტივობები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებს და რომლითაც ფარავენ ქვეცნებებს. საბაზო საფეხურზე ასევე კურიკულუმში შეტანილ იქნას ის კომპლექსური დავალება და კონტექსტ მაგალითი, რომლის რეალურ განხორციელებასაც გეგმავენ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია; ასევე, დასაზუსტებელია ქვეცნებები, კერძოდ: **დაწყებითი საფეხური** **მე და საზოგადოება**

	მესამე კლასი მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „პიროვნება“. *მეოთხე კლასი* პირველ, მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „პიროვნება“. **ჩვენი საქართველო** *მეხუთე კლასი, მეექვსე კლასი* კურიკულუმებში არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება სამიზნე ცნებები. გარკვევით უნდა იკითხებოდეს რომელი საკითხით რომელი ცნება დამუშავდება. ასევე, სასურველია, მიეთითოს შესაბამისი ქვეცნებები. **საბაზო საფეხური** **გეოგრაფია** *მეშვიდე კლასი* პირველ, მეორე და მეოთხე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“. მესამე თემაში კი გარდა „მდგრადი განვითარების“ არ მუშავდება არცერთი სამიზნე ცნება. *მერვე კლასი* პირველ და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“, „მოსახლეობა და მეურნეობა“, „მდგრადი განვითარება“. ასევე, მესამე თემის სახელწოდება არ არის მითითებული კურიკულუმში. მეოთხე და მეხუთე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“. ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს

	მხოლოდ დასამუშავებელი პარაგრაფების ნუსხას, რაც არ იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ, რომელი საკითხით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. *მეცხრე კლასი* პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“ და „მდგრადი განვითარება“; მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“; მეოთხე თემაში არ მუშავდება „გეოგრაფიული გარსი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“. **ისტორია** საბაზო საფეხურის ისტორიის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები წარმოდგენილია ჩამონათვალის/ნუსხის სახით. არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება ესა თუ ის სამიზნე ცნება. **მოქალაქეობა** *მეშვიდე კლასი* მესამე და მეოთხე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“; მეხუთე თემაში არ მუშავდება „სამოქალაქო მონაწილეობა“. გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა არ არის დაგეგმილი სხვა, დამხმარე რესურსის გამოყენება. *მერვე კლასი* მეორე თემაში არ არის მითითებული არც ძირითადი და არც დამხმარე რესურსი. *მეცხრე კლასი* სამიზნე ცნებები და თემები არ არის თანხვედრაში; არ ჩანს რომელი საკითხით რომელი სამიზნე ცნება დამუშავდება. ასევე, გარდა პირველი თემისა, არ არის მითითებული არც ძირითადი და არც დამხმარე

	რესურსი. კურიკულუმში არასწორად წერია სამიზნე ცნება „მონაწილეობა“. ყველგან უნდა ეწეროს „სამოქალაქო მონაწილეობა“. **საშუალო საფეხური** **გეოგრაფია** მე-12 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმებში სასურველია, დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს „დამატებითი ლიტერატურა“. **ისტორია** მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმებში არცერთ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“. მე-12 კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემები არასწორად არის წარმოდგენილი. უნდა იყოს 1. „ხანმოკლე XX საუკუნე“ და 2. „მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე“. აღნიშნული თემების გარდა შესაძლებელია სკოლას წარმოდგენილი ჰქონდეს სხვა თემები და ქვეთემებიც, თუმცა, სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების დაფარვა კლასის ფარგლებში სავალდებულოა. **საქართველოს ისტორია** მე-11 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში არცერთ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“. მე-12 კლასის კურიკულუმში პირველი თემის სახელწოდება უნდა იყოს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველო საბჭოთა კავშირში“. ყველა (ორივე) თემაში სასურველია, დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. **მოქალაქეობა** *მეათე კლასი* თითოეულ თემაში სასურველია მიეთითოს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

	მეთორმეტე კლასი რესურსებში, სადაც წერია „დამხმარე ლიტერატურა“ საჭიროა დაკონკრეტება რა რესურსს გულისხმობს პედაგოგი. ასევე, სასურველია, დაკონკრეტდეს გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი-ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. **პროექტული სწავლება მოქალაქეობაში** მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში, არცერთ პროექტში არ მუშავდება სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება“. ცნება „სამოქალაქო ცნობიერების“ მაგივრად უნდა ეწეროს „სამოქალაქო მონაწილეობა“. მიმართულებების ნაწილი უნდა გასწორდეს სტანდარტის მიხედვით. მაგ. „ქველმოქმედება“, „ინფორმირება“ და ა.შ. მე-12 კლასის კურიკულუმში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „საზოგადოება“ და „დემოკრატია“, თუმცა პირველი პროექტის ფარგლებში თავისუფლად დამუშავდება ეს ორივე სამიზნე ცნება. მიმართულებების ნაწილი სასურველია გასწორდეს სტანდარტის მიხედვით. მაგ. „ქველმოქმედება“, „ინფორმირება“ და ა.შ. ***<u>ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სკოლას სამივე საფეხურზე მიეცა რჩევები:</u>*** • სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; • სამიზნე ცნებებისა და თემების სახელწოდებები უმჯობესია შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; • სასურველია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება; • უმჯობესია, კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში; • სასურველია, თითოეულ ცნებასთან მიმართებაში დაზუსტეს ქვეცნებები; • სასურველია, კურიკულუმში თითოეული თემისთვის განისაზღვროს საათების სავარაუდო რაოდენობა.

უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას. **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება დროში რაციონალურად გაწერილი შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს მხოლოდ მუსიკის კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ამ ეტაპზე საგანს არასპეციალისტი ასწავლის, მიუხედავად ამისა შეინიშნება მცირე უზუსტობები, რაც სეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანის კურიკულუმი ამ ეტაპზე არ მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებისკენ, კურიკულუმში არ არის გამოტანილი სავალდებულოდ დასამუშავებელი თემატური ბლოკები, მათი სათაურები თემების გრაფაშია მოცემული, არ არის სწორად ფორმულირებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ისინი უფრო ზოგადი სახითაა შემოტანილი და შინაარსობრივად არ არის შესაბამისობაში თემასთა, სალითხთან, კონტექსტ მაგალითებთან და შემოქმედებით პროდუქტთან, ხშირად თემის დასახელებები სამიზნე ცნებების სახელითაა გამოტანილი ან პირიქით სამიზნე ცნებების მაგივრად თემებია ჩამოთვლილი, არ არის გათვალისწინებული რომელ თემას რა დრო ეთმობა და რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება შუალედური მიზნის მისაღწევად, ხშირად იმაზე მეტი თემაა შემოტანილი კურიკულუმში ვიდრე სასწავლო დღეებით და საათობით არის გათვლილი მაგალითად: **დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** • მე-2 კლ კურიკულუმში არ ჩანს თემატური ბლოკები, მათთვის თემის სათაურების როლია მორგებული, სამიზნე ცნებები ზოგადია და არა კონკრეტული • მე-3-4 კლ კურიკულუმში მხოლოდ თემები და ქვეთემებია, დაკარგულია თემატური ბლოკები საკითხები ჩაშლილია ცალკეულ ქვესაკითხებად, რაც შეიზლება ერთ საკითხში გაერთიანდეს

- მე-5-6 კლ. კურიკულუმის სტრუქტურა დართვეულია, არ არის სავალდებულო თემატური ბლოკები, თემების ნაცვლად მიმდინარე პარაგრაფებია შემოტანილი, სამიზნე ცნებები საერთოდ არ მუშავდებასაკითხთა კლასტერი არ არის სწორად ფორმულირებულიკონტექსტ მაგალითები არასწორი ინტერპრეტაციითაა გააზრებული, საერთოდ არ არის შემოქმედებითი პროდუქტი და შუალედური მიზნები შემოტანილი, არ ცანს რა დროში რა აქტივობას ან თემას უთმობს დროს და რა შედეგს იღებს

მუსიკა

- 1 კლასის კურიკულუმში მასწავლებელი არცერ შემოქმედებით პროდუქტს არ ამუშავებს

საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- მე-7 კლ კურიკულუმში არ ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, კურიკულუმის ჩარჩოს არ აქვს სტრუქტურირებული ფორმა, სამიზნე ცნებები ზოგადია და არ არის დაკონკრეტებული,საათობა არ არის გათვალისწინებული

საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- სავალდებულო პროექტებით სწავლების საგნობრივ კურიკულუმში 6 თემაა შემოტანილი, რაც საათობრივი ბადის და სასწავლო დღეების მიხედვით მიუღწევადია

რჩევა

რადგან ამ ეტაპზე სსკოლას მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში არ ყავს კვალიფიციური კადრი, საგნებს შეთავსებით ასწავლიან სხვა საგნის მასწავლებლები, სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია რომ 2025 წლის 15 სექტემბამდე ეყოლება შესაბამისი კადრები, გამოაცხადებს ვაკანსიას

	სასურველია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეიქნას ახალი საგნობრივი კურიკულუმი ყველა კლასისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა სტრუქტურული ერთეული და რომელიც ასახავს მოსწავლის განვითარების გზას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვითი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში, ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმი სამივე საფეხურზე შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერის შესაბამისად. გაწერილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, სასწავლო რესურსები. შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით , წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით გაწერილია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით. წარმოდგენილია რამდენიმე განსახორციელებელი კომპლექსური დავალების მატრიცა და შეფასების რუბრიკები. კურიკულუმში შეინიშნება რიგი უზუსტობები: რიგ კლასებში (III,VI,X,XII) თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები არ არის შესაბამის სვეტებში გაწერილი(არეულია), VII კლასში სავალდებულო თემები არ არის გაწერილი სრულად , რიგ კლასებში თემების ან საკითხთა სვეტში მითითებულია გამეორება სჯობს დაკონკრეტდეს რომელი თემის/საკითხის გამეორებას გეგმავს კათედრა. კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ზემოთ ხსენებული უზუსტობები მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია და აუცილებლად გასწორდება, ასევე აღინიშნა, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც განხორციელებული, ასევე მომავალში დაგეგმილი დავალებების შესრულება უზრუნველყოფს მოსწავლე ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც

	მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს. **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა:** სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოშ ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და დავალებები გავწეროთ შესაბამ სვეტებში; სიტყვა გამეორება ან ჩავანაცვლოთ, ან დავაკონკრეტოთ რომელი თემის/საკითხ განმეორებას მოიცავს; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებში შესასწავ ყველა სავალდებულო თემა.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს თემატური ბლოკები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები

	იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, კურიკულუმში ასახულია და თემების შესწავლისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, სკოლა ახორციელებს სხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება. **რჩევა** სასურველია III კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები გაიწეროს შესაბამის სვეტებში.

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ყველა საფეხურის კურიკულუმში არის აღწერილი კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსები და მათი როლი მოსწავლის პროგრესის უზრუნველსაყოფად. მაგალითად წარმოდგენილია პროექტები, რაც მოწმობს მათ პროექტული სწავლების გამოცდილებას. დოკუმენტი ასახავს, რამდენად

	რელევანტურია შერჩეული რესურსები მოსწავლეთა საჭიროებებს, განსხვავებულ სასწავლო სტილებს ან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. რჩევა: შემუშავებულ კურიკულუმში სამივე საფეხურზე მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას.
უცხოური ენები	შერჩეული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება ენის სწავლის მიზნებს. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ჩართულობას და მიზნობრივი უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ინტეგრაცია ძირითად სასწავლო რესურსებთან, ეროვნული სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემოთავაზებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული და შემოთავაზებული რესურსები იყო ძირიტადად გრიფირებული სახელმძრვანელოები და მასწავლებლის მიერ სექმნილი რესურსები, რომლებშიც ვფიქრობ გათვალისწინებულია მოსწავლეებში სწავლის შედეგების მიღწევა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთვეს აზრი რომ

	ახალი სასწავლო წლისათვის გაითვალისწინებენ მიცემულ რცევებს და უკეთესად შეარჩევენ ისეთ რესურსებს სადაც მოსწავლეები უფრო სემოქმედებიტად და საინტერესოდ ჩაერთვებიან
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა.
მათემატიკა	სკოლის მიერ კურიკულუმში ცალკეული თემის ფარგლებში გაწერილი როგორც მატერიალური ასევე ელ რესურსები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებასთან და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორი შეესაბამება** რჩევა: სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას კათედრული მუშაობის შედეგად, იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით.
ტექნოლოგიები	საგანში კომპიუტერულ ტექნოლოგიები წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, (school.emis.ge, code.org, scratch, Minecraft,

	office365 და სხვა) რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას, დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **რჩევა** სასურველია სახელმძღვანელოს მითითებისას მითითებული იყოს გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ელ.ბმულები.

2. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო საფეხურზე კურიკულუმში მოცემულია გარკვეული აქტივობები დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისთვის (მაგ. სხვადასხვა დავალებების შეთავაზება), სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა და შესრულებული დავალებები, გაწერილი შეფასების რუბრიკით, რაც მოწმობს სკოლის მოსწავლეზე ორიენტირებული მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას. რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურზე კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის და/ან დროის დიფერენცირება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლეებისთვის და რამდენად ქმნის მათთვის ინკლუზიურ გარემოს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შესაბამისი რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით) ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლაში უზრუნველყოფილია დიფერენცირებისა და ადაპტაციის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. **რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ მუსიკის და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში ინდ სასწავლო გეგმებში განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია

	მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე მნიშვნელოვანი პიროვნებაა და მათი ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით უდგებიან სამუშაო პროცესს, სკოლის ინტერვიუზე მასწავლებლებმა გამოკვეთეს ის აზრიც რომ მათ ყავთ რამდენიმე იმდივიდუალური სწავლების მქონე მოსწავლე, რომელსაც სთავაზობენ გამარტივებულ და ალტერნატიულ აქტივობებს სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვისთვის, აქვთ გამოცდილება და ითვალისწინებენ ამ პრაქტიკულ გამოცდილებას მოსწავლეებტან მუშაობის დროს
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.
მათემატიკა	ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით კათედრა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. გარდა ამისა, სსსმ

	მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს და შესაბამისად მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, ლაშქრობების თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო დონეზე სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. როგორც პედაგოგმა აღნიშნა, კურიკულუმის შედგენის პროცესში გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები, და შედგენილი აქვს დიფერენცირებული ტიპის დავალებები. ასევე, განვლილი გამოცდილების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით სკოლაში გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით.იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და განსხვავებული შინაარსის კომპლექსურ დავალებებს,სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

3. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა უპირატესად ზოგად ხასიათს ატარებს. განმსაზღვრელ და განმავითრებელ შეფასების რუბრიკებს ყოველთვის არ ახლავს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში არ ჩანს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. სკოლას მიეცა რჩევა: სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. მიმდინარე შეფასებასთან ერთად სკოლაში პერიოდულად ტარდება შემაჯამებელი წერები, რაც შესაძლებლობას იძლევა შეაფასონ თითოეული სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი და შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის გააზრებაში. **რჩევა:** მიზანშეწონილია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს მუშაობა შეფასების რუბრიკების დახვეწაზე - შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს დავალების ტიპსა და საფეხურის სპეციფიკას;

	ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას, როგორც მოსწავლეთა პროგრესის წახალისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების ფორმები სადაც ხდებოდა მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლას და პედაგოგებს ჰქონდათ ამ მხრივ კარგი გამოცდილება კათედრაზე მუშაობის, რადგან თითოეულ კათედრას საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებული ჰქონდა საკუთარი შეფასების სისტემა, თუმცა ეს შეფასება ორივე საგანში არის მაინც ზოგადი **რჩევა** სასურველია სამივე საფეხურზე და ორივე საგანში შეიქმნას კონკრეტულ თემაზე მორგებული კონკრეტული შეფასების როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც ნათლად იქნება გამოტანილი ის შუალედური სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და ცნებები რომელიც კონკრეტული თემის შეფასებაში დაეხმარებათ
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ; ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
მათემატიკა	მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

	შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: განმსაზღვრელი შეფასების რამოდენიმე ზოგადი რუბრიკა მათემატიკაში, კონკრეტული კომპლექსური დავალების შესაბამისად შედგენილი გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ განმავითარებელი შეფასებისთვის კათედრა ხშირად იყენებს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, თვითშეფასება, ურთიერთ შეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები... უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დასახვეწია საჭიროებს დაზუსტებას კონკრეტული თემების ფარგლებში და სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში მოყვანას; განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი რუბრიკა გაწერილია ქულებით, რაც უნდა შეიცვალოს. **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა:** სასურველია მასწავლებლები შეფასებისას მეტად ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით; შემუშავდეს თემებზე, ძირითად საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს მოსწავლისთვის მამოტივირებელი, ახალისებდეს მის პროგრესს და არ გაიწეროს ქულებში. სასურველია თუ კათედრა ერთობლივად შეიმუშავებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგიას.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას კონკრეტულ კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება კათედრის მიერ წინასწარ შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს.

ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ადასტურებენ გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას. აგრეთე პედაგოგმა აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასების პროცესში იყენებს, მრავალფეროვან აქტივობებს, როგორიცაა: ტესტური და კომპიუტერული პროგრამების შექმნა, პრეზენტაცია და ა.შ.. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე, კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის . **რჩევა** სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი რუბრიკა(მათ.IIIკლ; ქართ. III კლ.) გაწერილია ქულებით, რაც უნდა შეიცვალოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების სქემები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
  სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები.
- ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ზოგადი რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები.
- შემაჯამებლის ანალიზები
- საგნის სწავლების ანგარიშები
- პროექტის განხორციელების რეფლექსია საშუალო საფეხურზე

<u>უცხო ენები (მტკიცებულებები)</u>

- საგნობრივი კურიკულუმები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- თემატურად შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების ინსტრუმენტები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები განმავითარებელი რუბრიკებით
- ინგლისურ ენაში IX კლასში კომპლექსური დავალების ჩატარების შესახებ რეფლექსია
- ინგლისურ ენაში X კლასში დაგეგმილი გაკვეთილის დეტალური გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- VII კლასში სსსმ მოსწავლის აქტივობების ნიმუშები N1, N3, შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და მოსწავლის ნამუშევრები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები რუსულ ენაში (ფოტომასალა)
- საგნობრივი პროექტი ინგლისურში: “English is Fun” (VII–XI კლ) პროექტის შეფასების რუბრიკით, ბმულზე განთავსებული შესაბამისი მასალით, ფოტოსურათებით და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტებით
- ინტეგრირებული პროექტი: „ბრიტანული და ქართული სამზარეულო“ (ინგლისური და ქართული, IX კლ.), პროექტის გეგმა, შეფასებით, რეფლექსია და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები

- პროექტი: „ინტელექტუალური ვიქტორინა“ პროექტის გეგმა, შეფასება, რეფლექსია და შემოქმედებითი პროდუქტები, შესაბამისი ციფრული ბმულებით

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

- კურიკულუმის ჩარჩო;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის სამუშაო ოქმები.

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კომპლექსური დავალებები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას. თითქმის სრულად გამოხატულია დაგეგმილი პროცესი და მოსწავლის როლი, კომპლექსური დავალების იდეა წარმოდგენილია ყველა კურიკულუმში, მაგრამ არ არის აღწერილი დავალების პირობა, მოსწავლის როლი ან სასწავლო შედეგებთან კავშირი. ეს პროცესის აღქმასა და ღრმა გააზრებას ართულებს. სკოლას მიეცა რჩევა: სამივე საფეხურზე „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები და დაიგეგმოს დროში მიღწევადი შუალედური მიზნები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო

	პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. **სკოლას მიეცა რჩევა:** კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი სტანდარტის მიზნების შესაბამისად. შერჩეული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას; საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ცვლილებებს ახორციელებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება; ასევე, მიზანშეწონილია შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა ისე, რომ მათი განხორციელება დროში რეალისტურად იყოს განსაზღვრული.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მუსიკის საგანში დაგეგმილი კურიკულუმი ეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მხოლოდ და საბაზო და საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მცირე ხარვეზების მიხედვით, დაწყებითი საფეხურის ხელოვნების სწავლება არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად, თუმცა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ გამოჩნდა რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს კვალიფიციური კადრი, რის გამოც გამოცხადებული ქონდა ვაკანსია, კვლავ

	გამოაცხადებს და მიიღებს შესაბამის კადრს, რომელიც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმის ისე განხორციელებას რომ პროცესი პასუხობდეს მოსწავლეთა ინტერესებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. **რჩევა:** *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული იქნას ყველა ის კრიტერიუმი რომელიც მიზნად ისახავს ეს გეგმის მიზნებს და ჩაისვას კლასების მიხედვით იმ რაოდენობის შემოქმედებითი პროდუქტი, რამდენის რეალურ განხორციელებას შეძლებს მასწავლებელი*
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ზოგიერთ კლასში დაგეგმილი ჰქონდათ 7-8 კომპლექსური დავალება, რაც დროში ვერ მოესწრო და საჭირო გახდა შემცირება.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებილი დავალებები , რეფლექსიები, გაკვეთილები ცხადჰყოფს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმი იწყება წინა კლასში ნასწავლი მასალის განმეორებით, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საბაზო-საშუალო საფეხურზე სკოლა ძირითადად ვერ ასრებს კურიკულუმში გაწერილი ყველა შუალედური დავალების განხორციელებას, მოსწავლეების საჭიროების შესაბამისად ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

	რჩევა: სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით..
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო კურიკულუმის შესაბამისად, მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. მომდევნო სასწავლო წელისათვის იგეგმება კურიკულუმის გადახედვა, გამოკვეთილი ხარვეზების გამოსწორება და საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირება.
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან ინტერვიუ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.** **რჩევა** სასურველია კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური ტიპის დავალება, რომლებიც სრულიად იქნება შესაბამისი სამიზნე ცნებებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისან დგინდება, რომ სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება კურიკულუმის გადახედვა, გამოკვეთილი ხარვეზების გამოსწორება და საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირება. ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო

	პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას, რაც დროში ვერ მოესწრო და საჭირო გახდა შემცირება. **რჩევა** სასურველია ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სამთაწყაროს საჯარო სკოლა აქტიურად ავლენს გარე გამოწვევებზე სწრაფი და გონივრული რეაგირების უნარს და სწავლების პრაქტიკაში მუდმივი გაუმჯობესებისკენაა ორიენტირებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სკოლის ჩართულობა განათლების რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივაში – **„ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში**, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე, ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და კოლეგიალურ მხარდაჭერას. სკოლა იყო ჩართული **USAID-ის პროექტში**, რომელიც ორიენტირებულია კითხვისა და მათემატიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე დაწყებით საფეხურში. ლიდერი მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარება – მაგალითად, მათემატიკის გაკვეთილზე ზღაპრის ინტეგრაცია ან საგანზე დაყრდნობით თამაშების გამოყენება – მიუთითებს სკოლაში პროფესიული კულტურის განვითარებაზე. სწავლებაში პრაქტიკული მაგალითების გამოყენება არა მხოლოდ ამდიდრებს სასწავლო პროცესს, არამედ ქმნის პროფესიულად მზარდ გუნდს, რომელიც მზად არის ინოვაციებისა და ტრანსფორმაციისთვის. ეს პრაქტიკა ასევე ავითარებს საგნობრივ ინტეგრაციასა და შემოქმედებით მიდგომებს. სამთაწყაროს საჯარო სკოლა ეფექტურად იყენებს საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და გარე მხარდაჭერას შიდა პროფესიული განვითარების გასაძლიერებლად. სწავლების თანამედროვე მიდგომების ათვისება და ლიდერი მასწავლებლების მიერ ცოდნის გავრცელება მკაფიოდ მიუთითებს ინდიკატორის შესაბამისობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში შეფასების სისტემა არის აღწერილი და ჩანს სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითრებელი შეფასების ზოგად რუბრიკებს, შეინიშნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტისთვის სექმნილი რუბრიკებიც გამოცდილებაც, მაგ: ფიზიკაში. რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. **რჩევა:** სასურველია, შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ინტერვიუდან და გადმოგზავნილი დოკუმენტებიდან იკვეთება რომ შექმნილი შეფასების რუბრიკები არის მრავალფეროვანი, რომელიც მოსწავლის მრავალმხრივ სეფასებას მოიცავს, საიდანაც ჩანს რომ შეფასება ცნობილია როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მშობლებისა და ადმინისტრაციის წევრებისთვის, კლასის დამრიგებლებისთვის. ინტერვიუზე ისაუბრეს თუ როგორ მუშაობენ კათედრაზე შეფასების ფორმების შესაქმნელად და თანხმდებოდნენ ადმინისტრაციასთან, ამიტომ ვფიქრობ რომ შეფასება არის სანდო ვალიდური და ობიექტური, თუმცა სასურველია შეიქმნას კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა მიღწევების დასადგენად
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისა. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება და ამის შესახებ მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი.
მათემატიკა	კათედრა მოსწავლის შეფასებასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეიმუშავებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლის შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართულია მოსწავლეებიც, გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები, რომლის მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და თითოეული მოსწავლის პროგრესია. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა სსგ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის.სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება N 2-63 -ით დამტკიცებული ვერიფიკაციის დოკუმენტი განამტკიცებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.

	ინდიკატორი შეესაბამება რჩევა: სასურველია კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთ შეფასება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის.
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც უკვე ხდება სასწავლო პროცესში, პედაგოგი წინასწარ ახდენს შეფასების რუბრიკების წარდგენას მოსწავლეებისთვის. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზოგად რუბრიკებს. ინტერვიუდან დგინდება, რომ ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

	რჩევა სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. შესაბამისად უფრო მკაფიოდ გაიწეროს შეფასება დვალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში. მოსწავლეთა ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, რუბრიკების გაცნობა მშობლებისთვის, ურთიერთშეფასება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირველობას და ობიექტურობას.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის კარგად ორგანიზებულ და დოკუმენტირებულ მექანიზმს, რაც მკაფიოდ უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს:

- **ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ჩართულობას** – აღნიშნული ჯგუფი არა მხოლოდ ზედამხედველობს პროცესს, არამედ უზრუნველყოფს შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნას და მათი ეფექტური გამოყენების მონიტორინგს;

- **შეფასების ანალიზის შაბლონსა და რუბრიკებს**, რომელთა მიხედვითაც პედაგოგები აფორმებენ შეფასების შედეგებს და ასახავენ ანალიზს, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას;

- **წინასწარ შეთანხმებულ შეფასების კრიტერიუმებს**, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას ყველა პედაგოგისთვის. მაგალითად, ქართული ენის კათედრის მიერ ნარკვევის შეფასების კომპონენტების – შინაარსის, გრამატიკისა და სხვა ელემენტების – წინასწარ განსაზღვრა არის ობიექტური და სამართლიანი შეფასების პრაქტიკის კარგი მაგალითი.
  ამ მექანიზმების არსებობა იძლევა გარანტიას, რომ მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხდება არა სუბიექტური მოსაზრებების, არამედ შეთანხმებულ, მკაფიო და სამართლიან საფუძველზე. სამთაწყაროს საჯარო სკოლაში შემუშავებული შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტებთან შესაბამისობას. პროცესი ეფუძნება გამჭვირვალე, ერთიანი და შეთანხმებული პრაქტიკის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ობიექტურად შეფასებას და მასწავლებელთა ანგარიშვალდებულების გაზრდას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

.სამთაწყაროს საჯარო სკოლა ახორციელებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სისტემურ აღრიცხვასა და დაცვას, რაც მიუთითებს კარგად ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე. დაცულია როგორც სასწავლო პროცესის, ასევე მოსწავლეებისა და მასწავლებლების პერსონალური ინფორმაციის შენახვის ვადები და ფორმატი:

- **სასწავლო ჟურნალები**, რომლებიც შეიცავს მოსწავლეთა ნიშნებსა და დასწრებას, ინახება 5 წლის განმავლობაში უსაფრთხო ადგილას – ჩაკეტილ კარადაში ან სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

- **პერსონალური დოკუმენტაცია**, როგორიცაა მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები და სერტიფიკატები, ინახება 75 წლის განმავლობაში, რაც სრულად შეესაბამება რეგულაციებს;

- აღსანიშნავია, რომ **2020 წლამდე არსებული დოკუმენტაცია მატერიალურ ფორმატშია** და დაცულია სიფრთხილით;

- სკოლის განზრახვა ითანამშრომლოს **სახელმწიფო არქივთან** მომავალში მიუთითებს პროცესის კიდევ უფრო გამყარებისკენ მიმართულ ნაბიჯებზე.

მონაცემების ხანგრძლივი და დაცული შენახვა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, აუდიტის შესაძლებლობას და მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას.
სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის სტრუქტურირებულ აღრიცხვასა და დაცვას შესაბამისი ვადებითა და სიფრთხილის ზომებით. დოკუმენტაციის შენახვის წესები და არქივთან თანამშრომლობის განზრახვა მიუთითებს გამჭვირვალე და მდგრად ადმინისტრაციულ მართვაზე.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების სქემები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;

- შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი.
- ესთეტიკური აღზრდა
- შეფასების ზოგადი რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები.
- შემაჯამებლის ანალიზები
- საგნის სწავლების ანგარიშები
- პროექტის განხორციელების რეფლექსია საშუალო საფეხურზე

უცხო ენები (მტკიცებულებები)

- საგნობრივი კურიკულუმები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- თემატურად შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების ინსტრუმენტები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები განმავითარებელი რუბრიკებით
- ინგლისურ ენაში IX კლასში კომპლექსური დავალების ჩატარების შესახებ რეფლექსია
- ინგლისურ ენაში X კლასში დაგეგმილი გაკვეთილის დეტალური გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- VII კლასში სსსმ მოსწავლის აქტივობების ნიმუშები N1, N3, შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და მოსწავლის ნამუშევრები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები რუსულ ენაში (ფოტომასალა)
- საგნობრივი პროექტი ინგლისურში: “English is Fun” (VII–XI კლ) პროექტის შეფასების რუბრიკით, ბმულზე განთავსებული შესაბამისი მასალით, ფოტოსურათებით და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტებით
- ინტეგრირებული პროექტი: „ბრიტანული და ქართული სამზარეულო“ (ინგლისური და ქართული, IX კლ.), პროექტის გეგმა, შეფასებით, რეფლექსია და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები
- პროექტი: „ინტელექტუალური ვიქტორინა“ პროექტის გეგმა, შეფასება, რეფლექსია და შემოქმედებითი პროდუქტები, შესაბამისი ციფრული ბმულებით

სახელმწიფო ენა (მტკიცებულებები)

- **კ**ურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- სადამრიგებლო პროგრამები
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- მასწავლებლების რეფლექსიები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუშები
- განმავითარებელი კომენტარების ნიმუშები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ტესტირებების ნიმუშები და მათი ანალიზები

ფიზიკური აღზდა და სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;

- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გაზიარებული ფოტო მასალით სარწმუნოა სკოლის მიერ რელევანტურად შერჩეული სასწავლო რესურსები. წარმოდგენილია, როგორ უწყობენ ხელს კონკრეტული რესურსები მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, მიზნობრივი უნარების განვითარებას ან კომპლექსური დავალებების შესრულებას. სკოლა არის ახლად რეაბილიტირებული და განსაზღვრულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სივრცე, თუმცა ის არ არის საგაკვეთილო პროცესში აქტიურად და ეფექტიანად გამოყენებისთვის მზად. რჩევა:სასურველია ჩანდეს, როგორ ინტეგრირდება რესურსები სწავლა-სწავლების პროცესში. შეივსოს ლაბორატორია საჭირო აღჭურვილობით, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური

	და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ძირითადი და დამატებითი რესურსები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და მხარს უჭერს უცხო ენაში ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკვეთება რომ ორივე საგანში იყენებენ დამატებით რესურსად სამინისტროოს მიერ სარეკომენდაციოთ შეთავაზებულ რესურსებს ტვ სკოლას, იუთუბზე ატვირთულ რესურსებს, ვიზუალურ და ელექტრო რესურსებს და ზოგჯერ ქმნიან თავადაც, მათი შერჩევისას ითვალისწინებენ რესურსის სანდოობას და მოსწავლეტა ასაკობრივ თავისებურებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნისნეს, რომ დიფერენცირებული მიდგომების ხელშესაწყობად, სკოლაში ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია დამხმარე რესურსი (მატერიალური და ელექტრონული, რაც შეთანხმებული და დამტკიცებულია კათედრებზე. მასში ასევე საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის რესურსები, რომელიც

	მორგებულია მათ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე. კურიკულუმში გაწერილი რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში **ინდიკატორი შეესაბამება**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას. რესურსებში წარმოდგენილია ელექტრონული ბმულები, ვიდეო რესურსები და სახელმძღვანელოები. სკოლა ძალიან ხშირად აწყობს თემატურ ექსკურსიებსა და აქტიურად რთავს მოსწავლეებს სხვადასხვა სკოლის გარე პროექტებში, რომელში მონაწილეობითაც მოსწავლეებს უჩნდებათ წვდომა დამატებით რესურსებსა და ინფორმაციაზე რაც თავის მხრივ მიემართება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლაში ხორციელდება საგანთაშორისი ინტეგრაცია, მრავალფეროვანი პროექტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. შედეგის მისაღწევად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული და ელექტრონული რესურსები, რაც შეთანხმებული და დამტკიცებულია კათედრაზე.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტში ზუსტად არის განსაზღვრული, როგორ ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. არის წარმოდგენილი კრიტერიუმები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან, ხარისხსა და უსაფრთხოებასთან. ამავე დროს, იკვეთება პასუხისმგებლობის განსაზღვრა სკოლის ან პედაგოგების მხრიდან. რჩევა: სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი რესურსის შეცვლის შემთხვევაში სასურველია კათედრის ოქმში იყოს ასახული აღნიშნული ცვლილების მიზეზი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.
უცხოური ენები	დამხმარე რესურსები შერჩეულია პედაგოგების აქტიური ჩართულობით, თითოეული საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლაში მიზნობრივად გამოიყენება.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ სკოლის დასასრულს, ხშირად კათედრებზე ისინი არჩევენ სანდო რესურსებს. თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს რომ იყოს სანდო და ვალიდური

სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. .
მათემატიკა	სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად გრიფირებულ, დამხმარე სახელმძღვანელოს, გეოგებრას, ტელესკოლის, სილქნეტის სკოლის თუ სხვა ვიდეო და ელ.რესურს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და არჩევენ სანდო რესურსებს, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს რომლებიც არის სანდო და ვალიდური **ინდიკატორი შეესაბამება**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა კათედრაზე ხორციელდება. სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას იმისდა მიხედვით რამდენად

	შესაბამისობაშია შერჩეული რესურსი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში არის მოცემული კონკრეტული ინფორმაცია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ და მათი შესაბამისობა სასწავლო შედეგების მიღწევასთან. მხოლოდ ფოტო მასალიდან სრულად არ აღიქმება რესურსების ხარისხი და მისი ვალიდურობა რჩევა: სასურველია, რომ მომავალში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული საბაზო/საშუალო საფეხურზე ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რაც გაადვილებს შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობის გაზომვას..
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, ინტერნეტით (რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას), რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის

	პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას.
უცხოური ენები	სასწავლო გარემო ძირითადად უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას და ენის ათვისებას. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება ციფრული და ვიზუალური მასალებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებობს მატერიალური რესურსი პროექტორი, კომპიუტერი და სხვადასვა მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებიც მასწავლებლების თქმით ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის, მასწავლებელს ქონდა მუსიკის საგანში გაზიარებული ჩანაწერი რაც ადასტურებს იმას რომ ბავშვები სარგებლობენ მუსიკალური ინსტრუმენტებით საგნის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე მათ იყენებენ როგორც სწავლების ისე სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების დროს
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში.
მათემატიკა	როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, ინტერვიუზეც დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია იმ მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებს საფეხურზე სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი რესურსით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი,

	მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლაში არსებული რესურსით, სათანადო ადგილებში გამოკრული გრაფიკის შესაბამისად
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კერძოდ, სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი როგორც სპორტული დარბაზი, ასევე გარე სპორტული მოედანი, რომელთა დახმარებითაც მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები, პროექტორები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები. კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, როგორც თვითშეფასებიდან, ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული 20 პედაგოგიდან: **3 წამყვანი მასწავლებელი**; **13 უფროსი მასწავლებელი**, **4 კი მოწვეული მასწავლებელია. ვიზიტის პერიოდში კადრის არარსებობის გამო,** მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილებს ატარებდნენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები და არა სპეციალისტები, ასევე სკოლას არ ჰყავდა სამოქალაქო განათლებისა პედაგოგი და სპეც.მასწავლებელი. სკოლას განთავსებული აქვს ვაკანსიები და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 10.09.2025 წ. დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

<u>სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ პერიოდში 10.09.2025-მდე,</u> უზრუნველყოს **კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დასაქმება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1. საგნობრივი კურიკულუმები;
- 2. შეფასების სქემები;
- 3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 4. კათედრის ოქმები;
- 5. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი.
- ესთეტიკური აღზრდა
    - საგნობრივი კურიკულუმები;
- 2. შეფასების ზოგადი რუბრიკები
- 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- 4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 5. კათედრის ოქმები.
- 6. შემაჯამებლის ანალიზები
- 7. საგნის სწავლების ანგარიშები
- 8. პროექტის განხორციელების რეფლექსია საშუალო საფეხურზე

უცხო ენები (მტკიცებულებები)

- საგნობრივი კურიკულუმები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- თემატურად შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები: ინგლისური (I–XII), რუსული (V–XII)
- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების ინსტრუმენტები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები განმავითარებელი რუბრიკებით
- ინგლისურ ენაში IX კლასში კომპლექსური დავალების ჩატარების შესახებ რეფლექსია
- ინგლისურ ენაში X კლასში დაგეგმილი გაკვეთილის დეტალური გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- VII კლასში სსსმ მოსწავლის აქტივობების ნიმუშები N1, N3, შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და მოსწავლის ნამუშევრები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები რუსულ ენაში (ფოტომასალა)
- საგნობრივი პროექტი ინგლისურში: “English is Fun” (VII–XI კლ) პროექტის შეფასების რუბრიკით, ბმულზე განთავსებული შესაბამისი მასალით, ფოტოსურათებით და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტებით
- ინტეგრირებული პროექტი: „ბრიტანული და ქართული სამზარეულო“ (ინგლისური და ქართული, IX კლ.), პროექტის გეგმა, შეფასებით, რეფლექსია და მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები
- პროექტი: „ინტელექტუალური ვიქტორინა“ პროექტის გეგმა, შეფასება, რეფლექსია და შემოქმედებითი პროდუქტები, შესაბამისი ციფრული ბმულებით

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობა ეფუძნება **წინასწარ განსაზღვრულ სტრუქტურას**, რომელიც ასახულია სკოლის წლიურ გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა:

- მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა;
- სწავლების გასაგებობა და მიზნებთან შესაბამისობა;
- გაკვეთილების რეფლექსია და შედეგების ანალიზი.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დამკვიდრებულია **თვითრეფლექსიის კულტურა** – მასწავლებლები თვითონაც აფასებენ საკუთარ გაკვეთილებს და ცდილობენ შემდგომში გააუმჯობესონ მიდგომები. უკუკავშირის პროცესიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული: მასწავლებლებს ეძლევათ კონსტრუქციული რჩევები და იბმება დიალოგი სუსტი მხარეების გამოსასწორებლად. გაკვეთილების ანალიზისა და უკუკავშირის საფუძველზე შემუშავებული **კონკრეტული სტრატეგიები**, როგორებიცაა აქტივობების გაზრდა, თამაშისა და ჯგუფური დავალებების ინტეგრირება, მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე ხარისხის გაუმჯობესებისკენ. სამთაწყაროს საჯარო სკოლა ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესის სისტემურ, მრავალმხრივ მონიტორინგსა და შეფასებას. მოქმედი პრაქტიკები ეფუძნება თანამშრომლობას, ანალიზს და უწყვეტ გაუმჯობესებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის არსებობა კიდევ უფრო ამყარებს შეფასების პროცესის სანდოობას და მდგრადობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლა ხელმძღვანელობს **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით**, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს არა მხოლოდ გაკვეთილის დაგეგმვისა და შეფასების სტანდარტებს, არამედ შედეგების გაუმჯობესების გზებსაც. აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სწავლების პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების ინტეგრაციას (მაგ., თვალსაჩინოებების გამოყენება) და უკუკავშირის საფუძველზე სწავლების ხელახალ დაგეგმვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **2025–2026 სასწავლო წლის კურიკულუმში ყურადღება მიენიჭება მხარდაჭერის მექანიზმებს** სკოლის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის (მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები). დაგეგმილია როგორც წერითი უნარების გასაუმჯობესებელი დამატებითი აქტივობები, ასევე პროფესიული დახმარება პედაგოგებისთვის. სამთაწყაროს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს გაკვეთილების მრავალმხრივ შეფასებას, რომელიც ეფუძნება როგორც პროფესიულ ანალიზს, ისე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. შეფასების პროცესი გადაეცემა უკუკავშირად და რეალურად აისახება სწავლების გაუმჯობესებაში. მიმდინარე და დაგეგმილი ნაბიჯები აჩვენებს სისტემურობასა და განვითარებაზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი წარმართულია მიზნობრივად, სისტემურად და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულად. მონიტორინგი მოიცავს როგორც **გაკვეთილებზე დაკვირვებას**, ისე მიღებული მონაცემების საფუძველზე გატარებულ **გაძლიერების ღონისძიებებს**. აღნიშნული პროცესი ემსახურება არა კონტროლს ან შეფასებაზე დამკვიდრებულ კრიტიკას, არამედ **პრაქტიკული მხარდაჭერის გაწევას** მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი სისტემურად

და მოსწავლე-მასწავლებლის განვითარების ხელშესაწყობად ხორციელდება. დაკვირვება, უკუკავშირი და სამოქმედო გეგმები ორგანულად ერთიანდება საერთო მიზანში – სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია;
2. გაკვეთლზე დასწრება და უკუკავშირი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებულ შეფასებას, თუმცა ამავდროულად ცდილობს ჩართოს მოსწავლეები თვითშეფასებასა და რეფლექსიაში. შეფასების არსებული პრაქტიკა სტრუქტურირებულია და პროგრესზეა ორიენტირებული, ხოლო დაგეგმილი გაუმჯობესებები მიანიშნებს პროცესის განვითარებად ხასიათზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სამთაწყაროს საჯარო სკოლაში სასწავლო შეფასების პრაქტიკა ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს და მოიცავს როგორც აკადემიური ცოდნის, ისე უნარებისა და სწავლის ღრმა გაგების შეფასებას. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქულაზე დაფუძნებული განსაზღვრელი შეფასებით – **შეფასება არის მრავალმხრივი და პროცესზე ორიენტირებული**. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შეფასება ფარავს შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს:

- **ცოდნის ინტეგრირებული გამოყენება** – მაგალითად, მასწავლებლები აფასებენ, თუ როგორ უკავშირებენ მოსწავლეები მათემატიკას ფიზიკასთან ან ისტორიას პრეზენტაციის უნართან;
- **სამივე ცოდნის კატეგორიის შეფასება** – ფაქტობრივი ცოდნა, უნარების გამოყენება და კონტექსტის გაგება;
- **ფუნქციური შეფასება** – შეფასება, რომელიც იძლევა წარმოდგენას, თუ როგორ იყენებენ მოსწავლეები ცოდნას რეალურ ცხოვრებაში ან პრაქტიკულ დავალებებში.

მასწავლებლები იყენებენ **შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს**, მათ შორის:

- **მოსწავლეთა უკუკავშირს** – მაგალითად, გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებისგან იღებენ გამოხმაურებას იმის შესახებ, რა იყო რთული ან კარგად გასაგები;
- **დაკვირვებას ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში** – როგორც საკლასო პირობებში, ასევე ექსკურსიებზე ან პრაქტიკულ აქტივობებში;
- **ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას**, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. ამ პროცესში მოსწავლეები მხოლოდ შეფასების ობიექტები არ არიან – ისინი **აქტიური მონაწილეები** არიან შეფასების პროცესში, რაც ამაღლებს მათ მოტივაციას, ზრდის პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს რეფლექსიურ სწავლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა წარმატებით იყენებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის **დივერსიფიცირებულ მეთოდებს**, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესზე უფრო ღრმა, ინდივიდუალურ და პროცესზე ორიენტირებულ ხედვას. მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ როგორც **ინტერვიუებს**, ისე **კითხვარებს**, რათა გამოავლინონ მოსწავლეთა ინტერესები, სირთულეები და საჭიროებები. შეგროვებული მონაცემები გამოიყენება მიზანმიმართულად: მათი საფუძველზე კეთდება ინდივიდუალური და ჯგუფური **შეფასება პროგრესის მიხედვით** (მაგ., ძლიერ–სუსტი მხარეების იდენტიფიცირება); ხდება ინფორმაციის გაზიარება მასწავლებელთა შეხვედრებზე და მშობლებთან, რაც **მტკიცდება უკუკავშირის პრაქტიკად** და ზრდის სკოლის გამჭვირვალობასა და ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას; ფორმულირდება **მიზნობრივი რეკომენდაციები**, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს სწავლის პროცესის ადაპტირებაში – მაგალითად, მეტი თვალსაჩინოების გამოყენება ან ინტერესზე მორგებული დავალებების შეთავაზება. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები **ადაპტირებენ სასწავლო აქტივობებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით**, რაც არის მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. მაგალითად, კითხვაში სუსტ, მაგრამ ხატვაში ძლიერ მოსწავლეს ეძლევა ინტეგრირებული დავალება, რაც **ამყარებს ძლიერ მხარეს და ამავდროულად ავითარებს სუსტს**. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სამთაწყაროს საჯარო სკოლა ახორციელებს მრავალმხრივ, მოსწავლეზე ორიენტირებულ შეფასებას, რომელიც ემყარება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მონაცემებს. სკოლა მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლის სოციალურ კონტექსტს და ხელს უწყობს მშობლების სისტემურ ჩართულობას. დაგეგმილი ნაბიჯები მიუთითებს განვითარებაზე და სისტემურ სრულყოფაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი;
- მასწავლებელთა გეგმები და წლიური ანგარიშები;
- დამრიგებელთა წლიური გეგმები და ანგარიშები;
- სტანდარტების ანგარიში;
- მშობლის კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სამთაწყაროს საჯარო სკოლამ 2023 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით და **მიზანმიმართულად ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში**, რომლის ძირითადი მიზანი იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) პრაქტიკაში დანერგვა. პროექტში მონაწილეობა სკოლისთვის გახდა სტრატეგიული განვითარების პლატფორმა, სადაც აშკარად გამოიკვეთა თანამედროვე სწავლების პრინციპებზე დაფუძნებული ხედვა. სკოლამ გაიარა **ქოუჩინგის არასრული პროცესი**, რომელიც მოიცავდა ლიდერობას, ინკლუზიასა და საგნობრივ კომპონენტებს. ქოუჩების მხარდაჭერით მასწავლებლებმა შეისწავლეს თანამედროვე მიდგომები, განსაკუთრებით **კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და გამოყენება**, რაც საგნობრივ ინტეგრაციასა და ცოდნის პრაქტიკაში გადატანას უწყობს ხელს. თითოეულ საგანში განხორციელდა მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება. პრაქტიკულმა მაგალითებმა – მაგალითად, მინერალების თემაზე შექმნილი პრეზენტაციები ან გეომეტრიული ფიგურებით შესრულებული პროექტები – დაადასტურა, რომ **სკოლამ შეძლო თეორიული მიდგომების პრაქტიკულად რეალიზება.** კათედრებმა და პედაგოგებმა მოახდინეს **რეფლექსია და გააზრება**, რა იმუშავა კარგად და რა საჭიროებდა გაუმჯობესებას. ეს გახდა **საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების საფუძველი**, სადაც გაწერილია თემები, ქვეთემები, დავალებები, მატრიცები და განხორციელების ვადები. მნიშვნელოვანი შედეგი იყო **სარეკომენდაციო პაკეტის** – ანუ სკოლის ხედვის – ფორმირება, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას, მათ შორის: ინტერესებზე დაფუძნებულ თემატიკას (მაგ., სოფლის ყოველდღიური ცხოვრება); ინკლუზიურ გარემოსა და ინდივიდუალურ მიდგომებს; რესურსების ხელმისაწვდომობას; დიაგნოსტიკისა და შეფასების სისტემურ დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის გეგმით, **2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი დაეფუძნება 2024-2025 წლის განმავლობაში დაგროვებულ პრაქტიკულ გამოცდილებას**, შეფასების შედეგებსა და მონაწილე მხარეების უკუკავშირს. ცვლილებები დაფუძნებულია კონკრეტულ ანალიზზე – მაგალითად, წარმატებული კომპლექსური დავალებების (მაგ., „პროპელერი“) გაგრძელება და გაძლიერება ან გაურთულებელი თემების გამარტივება ქართულის გაკვეთილზე. სასკოლო საზოგადოებას ეძლევა **შესაძლებლობა, გახდეს კურიკულუმის თანაშემქმნელი**. გეგმაში გაწერილია ჩართულობის **სისტემური ფორმები**, როგორებიცაა:**სემესტრული შეხვედრები მშობლებთან**, სადაც მათ გაუზიარებენ პროგრესსა და ცვლილებებს;
მასწავლებელთა დისკუსიები, რომელთა მეშვეობით რეალურად აისახება კლასში არსებული სიტუაცია კურიკულუმზე;
მოსწავლეთა გამოხმაურება, როგორც ფასეული რესურსი სასწავლო პროცესის მოსწონებული და არამოსწონებული ელემენტების იდენტიფიცირებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა **აღიარებს სწავლების მოქნილობის აუცილებლობას** – ანუ კურიკულუმი არ განიხილება სტატიკურ დოკუმენტად, არამედ დინამიკურ სისტემად, რომელიც რეაგირებს გამოცდილებაზე, საჭიროებებზე და

უკუკავშირზე. სამთაწყაროს საჯარო სკოლა მკაფიოდ გეგმავს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას კურიკულუმის განახლების პროცესში, რაც მიანიშნებს მტკიცე დემოკრატიულ მმართველობას, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულობას და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესისკენ სვლას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. შესაბამისობის გეგმა

თარიღი **12.08.2025**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: